745 W 13.042

ეროვნული თავისუფლების გზით – პიროვნული თავისუფლებისაკენ!
პიროვნული თავისუფლების გზით – ეროვნული თავისუფლებისაკენ!

ეროვნული ბიბლიოთეკა

საქართველო

საქართველოს გაერთიანებული რესპუბლიკური პარტია
ოველკვირეული საზოგადოებრივ-პოლიტიკური გაზეთი
ამოდიოდა 1903-1905, 1915-1921 წ.წ. აღდგენილია 1989 წელს.

№ 6 (1407)

24 . II - 2 . III, 1995 წ.

ამ რამდენიმე დღის წინ გაზეთ „საქართველოს“ რედაქციას ეწვია მაშველთა კორპუსის რამდენიმე წარმომადგენელი. მათ პროტესტი გამოთქვეს იმის გამო, რომ ჩვენი პუმლიკაცია „მოსალოდნელია ულტიმატუმი ამერიკის მხრიდან“ მათი აზრით არ შეესამამება სინამდვილეს.

პრესაში არსებული დაწერილი და დაუწერელი ნორმებისადმი სრული შესამამისობით, ვაქვეყნებთ მათ მიერ წარმოდგენილ ტექსტს:

გაზეთ «საქართველოს» რედაქციას
საქართველოს მაშველთა კორპუსის პრეზიდიუმის განცხადება

გაზეთ „საქართველოს“ ა.წ. 15 თებერვლის ნომერში გამოქვეყნდა ხელმოუწერელი ინფორმაცია „მოსალოდნელია ულტიმატუმი ამერიკის მხრიდან“, რომელშიც აღნიშნული იყორომ არაოფიციალურ სარწმუნო წყაროზე დაყრდნობით გავრცელდა ინფორმაციაროომ ამერიკის შეერთებული შტატების ადმინისტრაცია საქართველოსთვის გამოყოფილი დახმარების შემდგომ მიწოდებას და შელავათიანი კრედიტების გამოყოფის საკითხს პირდაპირ უკავშირებს საქართველოს ეკონომიკაზე მხედრიონის მხრიდან არაკანონიერ კონტროლს და საერთოდ ამ ორგანიზაციის საქმიანობის შეწყვეტის საკითხს.

როგორც ზემოთაღნიშნულიდან სჩანს, გამოქვეყნებული ინფორმაცია ეკუთვნის გაზეთ „საქართველოს“ რედაქციის ნებით აღებულად „არაოფიციალურ სარწმუნო წყაროს“ და ამ „წყაროების“ მეშვეობით პირველ გვერდზე აკრცელებს სრულიად არაკომპეტენტურ, პროვოკაციულ ინფორმაციას მაშველთა კორპუსის წინააღმდეგ.

როგორც საზოგადოებისათვის ცნობილია, პატრიოტულმა სამხედრო შეიარაღებულმა ფორმირებამ „მხედრიონმა“ შეწყვიტა არსებობა ჯერ კიდევ 1993 წლის სექტემბერში. მის ბაზაზე შეიქმნა სახელმწიფო სამაშველო სტრუქტურა საქართველოს მაშველთა კორპუსი, რომელიც არსებობს და მოქმედებს საკუთარი დებულებისა და საქართველოს სახელმწიფო კანონების საფუძველზე და შესაბამისად ზუსტად აქვს განსაზღვრული საქმიანობის სფერო, ფუნქციები და მოვალეობანი. ამდენად, მას როგორც სახელმწიფო სტრუქტურას — არ გააჩნია არავითარი მექანიზმი და საკანონმდებლო საფუძველი, რითაც როგორც გაზეთი აცხადებს „კონტროლს უწევს საქართველოს ეკონომიკას“.

ასეთი მიუღებელი მეთოდებით, საქართველოს მაშველთა კორპუსის და ყოფილი მხედრიონის დისკრედიტაცია მიზნად ისახავს საზოგადოების დეზინფორმაციას და მხედრიონელთა სისხლით ნაწილობრივ, მაგრამ მაინც გამთლიანებული საქართველოს კვლავ ორად გახლეჩას, რაც მიუღებელი და კატასტროფულია საქართველოს სახელმწიფოებრიობისათვის.

საქართველოს მაშველთა კორპუსის პრეზიდიუმი კატეგორიულად სთხოვს გაზეთ „საქართველოს“ რედაქციას, გამოაქვეყნოს ჩვენი განცხადება და შესაბამისად კომენტარი გაუკეთოს აღნიშნულ არაპროფესიულად მოპოვებულ არაკომპეტენტურ ინფორმაციას „მოსალოდნელია ულტიმატუმი ამერიკის მხრიდან“.

აქვე აღვნიშნავთ, რომ გაზეთ „საქართველოში“ და რესპუბლიკის სხვა საინფორმაციო საშუალებებში არაერთხელ გამოქვეყნებულა ანალოგიური ცილისწამებლური განცხადებები. საქართველოს მაშველთა კორპუსის ხელმძღვანელობასა და თანამშრომლებს არაერთხელ მიუტევებიათ პრესის მუშაკებისათვის ცილისწამება, მაგრამ გაზეთ „საქართველოში“ გამოქვეყნებულმა სტატიამ უკანასკნელ ზღვარს მიაღწია. ამიტომ მაშველთა კორპუსის ხელმძღვანელობა ოფიციალურად აცხადებს, რომ თუ მომავალშიც განმეორდა პრესის მუშაკთა მხრიდან ჩვენს მიმართ ცილისწამება, ჩვენ აღვძრავთ მათ წინააღმდეგ სისხლის სამართლის საქმეს.

საქართველოს მაშველთა
კორპუსის პრეზიდიუმი

სარედაქციო კოლეგიისაგან:

მაშველთა კორპუსის პრეზიდიუმის განცხადებასთან დაკავშირებით მკითხველს მოვახსენებთ: ჩვენი პუბლიკაცია ემყარება ზეპირ ინფორმაციას — უცხო (დასავლეთის) ქვეყნის რამდენიმე ოფიციალური პირის ნათქვამს.რედაქციამ ეს ინფორმაცია სარწმუნოდ ჩათვალა. ამ პირთა გვარებს გასაგები მიზეზების გამო ვერ ვასახელებთ.

რაც შეეხება გაერთიანებული რესპუბლიკური პარტიის პოზიციას „მხედრიონთან“ დაკავშირებით საერთოდ, იგი ცნობილია.

გაერთიანებულ რესპუბლიკურ პარტიას მიაჩნია, რომ

ა) ისეთი შეიარაღებული ორგანიზაციის არსებობა, რომელიც არ არის გათვალისწინებული კანონით „შეიარაღებული ძალების შესახებ“, შეუთავსებელია სახელმწიფოებრიობასთან.

ბ) შეიარაღებული ორგანიზაციის მონაწილეობა ეკონომიკურ ცხოვრებაში სხვაგვარად, თუ არა შრომით, შეუთავსებელია საქართველოს ეკონომიკის გაცოცხლებასთან დღეს ან მომავალში.

გ) ომის მოგება ან თუნდაც ბრძოლის მოგება შესაძლებელია მხოლოდ ისეთი სამხედრო ფორმირების მიერ, რომელიც სრულად და ზუსტად შეესაბამება შეიარაღებულ ძალთა აგების იმ წესს, რაც კაცობრიობის მიერ გამომუშავებულია საუკუნეთა მანძილზე.

დ) იმ შემთხვევაში, თუ საქართველოს გაერთიანებულმა რესპუბლიკურმა პარტიამ პარლამენტში უმრავლესობა მიიღო, მისი ერთ-ერთი ნაბიჯი იქნება ყველა შეიარაღებული ფორმირების გაუქმება, გარდა კანონით გათვალისწინებულისა.

თეზისი „გ“ სხვათა შორის, ჩვენი პარტიის წევრის ნ. ნათაძის მიერ გამოთქმულ იქნა „მხედრიონის“ ყრილობის ტრიბუნიდან თბილისის ოპერის თეატრში ამ ერთი თვის წინ.

გასწორება

სახელმწიფოს მეთაურის პოლიტიკა განსაზღვრულია რუსეთის ინტერესებით

საქართველოს პარლამენტის დეპუტატთა ჯგუფის განცხადება

ამ სათაურით გაზეთ „საქართველოს“ მე-4 ნომერში გამოქვეყნდა დოკუმენტი 56 დეპუტატის ხელმოწერით. სამწუხაროდ, ტექნიკური მიზეზით გამოტოვებული იქნა ბოლო სტრიქონები: „დსთ-ის წესდებასთან საქართველოს შეერთებაზე, დეზავუირებულ უნდა იქნეს, ხოლო დოკუმენტები — ბათილად ცნობილი.“

ვბეჭდავთ ამ განცხადების ბოლო აბზაცს მთლიანად:

„ზემომოცემული ჩამონათვალის 4-15 პუნქტებში აღნიშნული მოქმედებები საფუძველს იძლევიან დასკვნისათვის, რომ საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარის, სახელმწიფოს მეთაურის ბატონ ე. შევარდნაძის პოლიტიკა საქართველო-რუსეთის ურთიერთობათა სფეროში განსაზღვრულია არა საქართველოს ინტერესებით, არამედ რუსეთის ინტერესებით, უცხო ძალასთან შეთქმის შედეგად, რის გამოც იგი უცხო ძალის მიერ თავს მოხვეულ პოლიტიკად უნდა ჩაითვალოს. ეს პოლიტიკა ეწინააღმდეგება ბატონ ე. შევარდნაძის საარჩევნო პროგრამას, რომლის მიხედვითაც მას ხმა მისცა ამომრჩეველმა 1992 წლის საპარლამენტო არჩევნებზე და ამგვარად იგი არ გამოხატავს ამომრჩეველთა ნებას. ხსენებულ გარემოებათა გამო, ბატონ ე. შევარდნაძის და მისი პირადი წარმომადგენლების ხელმოწერა საქართველო-რუსეთის ურთიერთობის მარეგულირებელ დოკუმენტებზე სახელდობრ, დაგომისის შეთანხმებებზე, 4 აპრილის და 14 მაისის შეთანხმებებზე, დსთ-ის წესდებასთან საქართველოს შეერთებაზე დეზავუირებულ უნდა იქნეს, ხოლო დოკუმენტები— ბათილად ცნობილი“.

მ. აბაშიძის ნახატი

ეროვნული ბიბლიოთეკა

საქართველოს ზღვისპირეთი

• „ამერიკის ხმის“ კორესპონდენტთან საუბარში აფხაზეთის ე.წ. პარლამენტის სპიკერმა სოკრატ ჯინჯოლიამ განაცხადა, რომ დღესდღეობით აფხაზეთში დაბრუნების ნებართვა მხოლოდ 311 ქართველმა მიიღო. ამათ გარდა აფხაზეთში იმყოფებიან უნებართვოდ დაბრუნებული 30000 ხიზანი, რომელთა სიცოცხლესაც საფრთხე ემუქრებათ.

გაეროს მონაცემებით სულ 315000 ლტოლვილია აფხაზეთიდან.

• აფხაზ სეპარატისტთა ლიდერმა, ვლადისლავ არძინბამ თქვა, რომ აფხაზეთის ხელისუფლებამ კეთილი ნება გამოამჟღავნა, როდესაც საქართველოს კონფედერაციულ შეთანხმებაზე ხელის მოწერა შესთავაზა. სამწუხაროდ, დასძინა არძინბამ, საქართველოს ხელისუფლება ამას გაგებით არ მოეკიდა. მას კვლავ აფხაზი ხალხის დამონება სურს.

აბზაცი საზღვარგარეთული პრესიდან

გარდაქმნილი შევარდნაძე

ახლა შევარდნაძე საქართველოს სახელმწიფოს მეთაურია და პრინციპები, რომელთაც ასე მიესალმებოდა იგი თავის ნაშრომში (საუბარია წიგნზე „მომავალი ეკუთვნის თავისუფლებას“ რედ.), საერთოდ დაავიწყდა. როგორ უნდა აიხსნას ისეთი გარდაქმნა, როდესაც მისი მეთაურობის პერიოდში სასტიკად ირღვევა ადამიანის უფლებები და არანაირი დემოკრატია ქვეყანაში არ არსებობს? განა წიგნი მან მხოლოდ იმისთვის დაწერა, რომ დასავლეთში გაესაღებინა და ამით მატერიალური მდგომარეობა გაეუმჯობესებინა? უკეთესია თავისი სამშობლოს ახლანდელ სიტუაციაზე შეთხზას ახალი წიგნი შეცვლილი სათაურით: „მომავალი ეკუთვნის მონობას“ და გაასაღოს აღმოსავლეთის ბლოკის ქვეყნებში.

იურგენ ჰაუერკენი
გერმანული გაზეთი
„Frangkfurter Allgemeine Zeitung“

ჩეჩნეთი

• ოფიციალური მონაცემებით, რუსეთის მხრიდან ჩეჩნეთის ომში დაღუპულია 1020 სამხედრო პირი, მაგრამ რეალური ციფრი ოფიციალურს გაცილებით აჭარბებს — 8000 მეომარი.

• „ამერიკის ხმის“ ცნობით მოზდოკში მყოფ ჩეჩენ სამხედრო ტყვეებს რუსები სასტიკად აწამებენ, რითაც არღვევენ საერთაშორისო სამართლით განსაზღვრულ ადამიანის უფლებებს.

გაეროს ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის სხდომაზე ანდრეი სახაროვის მეუღლემ ელენე ბონერმა განაცხადა, რომ ტყვე ჩეჩნებს რუსები სასამართლოს გარეშე ხვრეტენ.

• ზოგიერთი მონაცემების მიხედვით, გროზნოში მიმდინარე ბრძოლების შედეგად დაიღუპა 25 ათასზე მეტი მშვიდობიანი

ჩეჩნები ძაღლებსაც ხოცავენ

ჩეჩნები ესვრიან ძაღლებსაც, რადგან დამშეული მაწანწალები ადამიანთა ლეშს ეტანებიან. ჯარისკაცები შიშობენ, ადამიანის ხორცზე მიჩვეულებმა, ცოცხლებზეც არ მიიტანონ თავიანთი ეშვებიო. მაგრამ იქნებ თავიანთ ლეშსაც უფრთხილდებიან ჯერ კიდევ ცოცხალი ჯარისკაცები? ომი რას არ გაფიქრებინებს კაცს...

კომუნისტური ხელისუფლების მესვეურნი თავისი უბედურების მიზეზებს შიდა კონტრევოლუციურ ძალებსა და უცხოეთის იმპერიალისტურ ზრახვებში ეძებდნენ მუდამ. ამასთან, ისინი თავისი ზრახვების განსახორციელებლად ყველაფრისათვის იყვნენ მზად. ეს სულისკვეთებაა ქართველ ნეოკომუნისტებშიც, რასაც მათი თავკაცის გამოსვლის ეს პატარა ფრაგმენტიც ადასტურებს.

უცვლელად, ძველებურად...

„მარქსიზმ-ლენინიზმის კლასიკოსებთან შეთანხმებულად“

... იმ შემთხვევაში, თუ ამჟამინდელი საქართველოს ხელმძღვანელები და მათი მრავალრიცხოვანი შინაყმანი, მათ შორის სხვადასხვა ჯურის გადამთიელი მრჩეველი, არ შემოიღებდნენ „თავისუფალ ფასებს“, არსებული რეჟიმის დამხობა პრაქტიკულად შეუძლებელი იქნებოდა როგორც კომუნისტებისათვის, ჩვენი ქვეყნის ყველა საღად მოაზროვნე უპარტიო ადამიანებისათვის. მაგრამ, როდესაც ჩვენმა პროფანმა ხელმძღვანელებმა შეასრულეს ბრძანება (ამერიკელებისა და საერთაშორისო სავალუტო ფონდის „რჩევები“) და აუშვეს მსოფლიოში ყველაზე თავისუფალი ფასები, ამჟამინდელ მმართველთა უნიათობა ნათელი გახდა ყველასათვის, მათ შორის ყველაზე სქელშუბლიანი იზოლაციონისტებისათვის, დემაგოგებისათვის და „ეროვნულ მხსნელთა“ ბანაკის ყბედებისათვის.

დღევანდელი რეჟიმისა და მისი მრავალრიცხოვანი მომხრეების ბედისწერა ჩვენთვის, კომუნისტებისათვის, სავსებით ნათელია — ის, ვინაც გაილაშქრა ეკონომიკური კანონების წინააღმდეგ, იგივე კანონის თანახმად განადგურდება. ყოველივე ეს გარდუვალია და ჩვენს თვალწინ მოხდება. ვხედავთ რა იმას, რასაც უკანონოდ სჩადის დღევანდელი ხელისუფლება და მისი ლაქიები, ჩვენ, კომუნისტები, ვაცხადებთ, ისინი ირჯებიან ჩვენთვის. მარქსისტებისათვის ისე, თითქოს მათ ხელფასს ვუხდიდეთ, ვუხდიდეთ გაცილებით უფრო მეტს, ვიდრე მათი პატრონები, მსოფლიო ბანკირები უხდიან.“

გაზეთი „კომუნისტი“
1995 წ. 10 თებერვალი

საიდან იმღვრევა წყალი?

ფერადი ლითონების ციებ-ცხელებამ მთელი ქვეყანა მოიცვა. თითქმის ყოველ დღეს საქართველოს საინფორმაციო საშუალებები გვამცნობენ სატელეფონო კაბელებსა და ტრანსფორმატორებზე, მაღალი ძაბვის გადამცემი და ტროლეიბუსის ხაზებზე, ალუმინისა თუ სპილენძის სხვადასხვა ნაწარმზე „მონადირეთა“ დაკავების ფაქტებზე, რომელთა შორის არცთუ იშვიათად ქალებიც არიან. ამ გზით კი უმოწყალოდ იძარცვება და ვერანდება წარმოება-დაწესებულებები, ფაბრიკა-ქარხნები, ენერგომატარებლები და ა.შ. რა თქმა უნდა დამნაშავეებიც ისჯებიან (უმეტესად ისინი, ვისაც კეთილი ძიები არა ჰყავთ). ასე რომ, ერთი მხრივ პარტახდება ქვეყანა, ხოლო მეორე მხრით უწვერულვაშო ბიჭები ციხეში მიდიან, საიდანაც, როგორც წესი, გამოსწორებული და გზაზე დამდგარი იშვიათად ბრუნდება ვინმე.

ბუნებრივია კითხვაც: საიდან იმღვრევა წყალი და როგორ ვუშველოთ საქმეს? წყალი კი იქიდან ხომ არ იმღვრევა, რომ ქვეყნის ცენტრალური ხელისუფლება ვერ აკონტროლებს დღეისათვის მთავარ — სარფის საბაჟოს? საიდანაც ძირითადად გაედინება ქვეყნის სხვადასხვა სახის სიმდიდრე. (ამის თაობაზე ხომ ხმამაღლაც ითქვა ძალოვანი სტრუქტურების შეხვედრაზე). ეჭვი არაა, რომ თუ სარფის საბაჟოს უმკაცრესი კონტროლი არ მოხდება (რაც თუ მთლიანად ვერ აღკვეთს, მინიმუმამდე მაინც დაიყვანს დანაშაულებრივი სამყაროს თარეშს ამ მიმართულებით), დასჯის შიშით ნადირობის ეს ახალი ფორმა არ შეწყდება. და ვერც ქვეყანა აიცილებს თავიდან ახალ-ახალ ძარცვა-გაპარტახებას.

პოლემიკა

ფასდაკარგული „მკვახე შეძახილი“

ოთარ ზოიძე

დავით ზურაბიშვილის სტატიაში „შევარდნაძე და ოპოზიცია“ (გაზეთი „საქართველო“, №5, 1995 წ.) ოპოზიციის საქმიანობის მკაცრი შეფასებაა მოცემული. მაგალითად: „... როგორ გინდა დაარწმუნო იგი (ხალხი — ო.ზ.), რომ ეს ადამიანები შეძლებენ ქვეყნის მართვას, თუკი უმარტივესი ტაქტიკური სვლების გათვლა ვერ მოუხერხებიათ?“ სხვა ამგვარ დასკვნებს ქვემოთაც დავიმოწმებთ.

ბ-ნმა დავითმა ბოლო პერიოდში რამდენიმე კარგი ანალიტიკური წერილი დაბეჭდა. მისი მსჯელობა, როგორც წესი, ფრიად არგუმენტირებული გახლდათ. ამიტომ ჩემთვის მოულოდნელი იყო ორიოდე კონკრეტული მაგალითის აშკარად არასრულყოფილი ანალიზის საფუძველზე ოპოზიციის შესახებ ფრიად მკაცრი ვერდიქტის გამოტანა. ოპოზიციის საქმიანობაში ბევრი ნაკლის არსებობა უდავოა. მათ გამოსამზეურებლად „მკვახე შეძახილიც“ საჭიროა, მითუმეტეს, „მოყვარეს პირში უძრახეს“ პოზიციიდან. თუმცა არც უსამართლოდ ცოდვის აკიდება ივარგებს. ვფიქრობ, პატივცემულ ავტორს მისდაუნებურად ასე გამოუვიდა.

ბ-ნი დავითი განიხილავს ოპოზიციური პარტიების, მათ შორის, რესპუბლიკელების დამოკიდებულებას ე.წ. „უკანონო დეპუტატების“ საკითხისადმი (იგულისხმება დეპუტატები, რომელთაც სადეპუტატო მანდატები სხვა თანამდებობებთან უკანონოდ აქვთ შეთავსებული) და უნებლიეთ — უყურადღებობის ან ინფორმაციის არქონის გამო — საქმის ვითარებას არასწორად წარმოაჩენს. იგი წერს: „საკვირველი ისაა, თითქოს ოპოზიციონერებს არც ესმით საკითხის მნიშვნელობა; არადა „ესენგეში“ შესვლის რატიფიკაციაც და წლევანდელი ბიუჯეტის (წაიკითხე მთავრობის) დამტკიცებაც რამდენიმე ათეული კაცის წყალობით მოხდა“.

ფაქტობრივი მდგომარეობის ანალიზი კი გვარწმუნებს, რომ ოპოზიციონერებს ძალიან კარგად ესმით საკითხის მნიშვნელობა. სწორედ „ესენგეში“ შესვლის „რატიფიკაციის“ შემდეგ გამოქვეყნდა რესპუბლიკელთა ინიციატივით შედგენილი განცხადება (მას სხვა ოპოზიციონერებიც აწერდნენ ხელს), საიდანაც ჩანს, რომ რატიფიკაციის უკანონობის ერთ-ერთ ძირითად საფუძვლად ოპოზიციონერები კენჭისყრაში „უკანონო დეპუტატების“ მონაწილეობას მიიჩნევენ და ამ ფაქტს „რატიფიკაციის“ ბათილად ცნობის ასევე ერთ-ერთ ძირითად საფუძვლად თვლიან.

მოვიტანთ მეორე ფაქტს იმის საჩვენებლად, რომ ოპოზიციონერებს ძალიან კარგად ესმით „უკანონო დეპუტატების“ საკითხის მნიშვნელობა. გაზეთ „საქართველოს“ (რომლის თანამშრომელიცაა ბ-ნი დავითი) ამა წლის მე-4 ნომერში (დავით ზურაბიშვილის სტატია მე-5 ნომერში დაიბეჭდა) გამოქვეყნდა საქართველოს პარლამენტის დეპუტატთა ჯგუფის განცხადება (იგივე ტექსტი, რომელსაც მხოლოდ რესპუბლიკელები აწერდნენ ხელს, დაიბეჭდა ამავე გაზეთის გასული წლის 23-ე ნომერში; ამჯერად განცხადებას სხვებიც შეუერთდნენ და ხელმომწერთა რიცხვმა 55-ს მიაღწია), სადაც შევარდნაძისადმი წაყენებული ბრალდებების თხუთმეტპუნქტიან ნუსხაში პირველ ნომრად შემდეგი პრეტენზიაა მოთავსებული: „წინააღმდეგ არჩევნების დებულებისა და კანონისა პარლამენტის წევრის სტატუსის შესახებ, რომელნიც კრძალავენ პარლამენტის წევრობის შეთავსებას გარკვეულ თანამდებობებთან, სახელმწიფოს მეთაურმა დანიშნა პარლამენტის ორი ათეული წევრი ასეთ შეუთავსებელ თანამდებობაზე მათ მიერ დეპუტატის უფლებამოსილების შენარჩუნებით. ამგვარად, მან გაზარდა პარლამენტში თავისი მხარდამჭერების რიცხვი“.

რეალობას პატივცემული ავტორის არც შემდეგი წინადადება ასახავს: „ოპოზიციის მხრიდან კი ფაქტიურად არავითარი ძალისხმევა არ იგრძნობა, რათა „ზედმეტი ხმები“ მოაკლონ შევარდნაძეს“.

ოპოზიციამ სწორედ მთელი სიმწვავით და კატეგორიულობით არაერთხელ მოითხოვა კანონის დაცვა და „უკანონო დეპუტატების“ უფლებამოსილების შეწყვეტა, სამწუხაროდ, უშედეგოდ, რადგან დადებითი გადაწყვეტილების მიღებას იმათი ხმებიც სჭირდება, ხოლო მათივე დახმარების გარეშე ოპოზიცია ვერ აგროვებს ხმათა საჭირო რაოდენობას. როცა საკითხის პირდაპირი დასმით არაფერი გამოვიდა, რესპუბლიკელებმა სხვა გზით სცადეს მიზნის მიღწევა და პარლამენტს შესთავაზეს სტრუქტურული რეორგანიზაციის — განსხვავებული უფლებამოსილების მქონე ორ პალატად პარლამენტის გაყოფის გეგმა, რომლის მიღება საკითხს ქვეყნის ინტერესების სასარგებლოდ გადაწყვეტდა. რა თქმა უნდა, ვერც ეს გეგმა განხორციელდა.

არ არის სწორი ბ-ნი დავითის მოსაზრება, თითქოს აღნიშნული საკითხის მწვავედ და კატეგორიულად დასმისას შევარდნაძეს მხოლოდ ორი გზა აქვს: ან დაიცვას კანონი ან „პარლამენტი „გარეკოს“ და საგანგებო მდგომარეობა გამოაცხადოს, რაც ნაკლებად მოსალოდნელია: როგორია საგანგებო

დასასრული მე - 3 გვ.

გ. აბაშიძის ნახატი

ეროვნული ბიბლიოთეკა

ფასდაკარგული «მკვახე შეძახილი»

მეორე გვერდიდან

მდგომარეობის გამოცხადება იმ მოტივით, რომ ოპოზიცია კანონის შესრულებას ითხოვს!“

შევარდნაძეს მესამე გზაც ჰქონდა და აკი სწორედ ამ გზას დაადგა — მან არც კანონი დაიცვა და არც პარლამენტი გარეკა, შეინარჩუნა პარლამენტი იქ არსებული უმრავლესობით, „უკანონო დეპუტატების“ ჩათვლით — საკუთარი ზრახვების განხორციელების იარაღად, რაღა თქმა უნდა. ისე კი შევარდნაძისგან არც პარლამენტის გარეკვა იქნება მოულოდნელი. მოქალაქეთა კავშირის ერთ-ერთი ფსევდოლიდერი გიორგი ჭათამაძე 1992 წლის შემოდგომაზე ამბობდა (ცხადია, არა თავის აზრს): „ჩვენ კი მოვითხოვთ: ჯერჯერობით არ განახლდეს პარლამენტის სხდომები, შემდგომ — სულაც დაიშალოს იგი! მანამდე კი ვენდოთ სახელმწიფოს მეთაურს“. 1994 წლის 8 ნოემბრის სხდომაზე კი თავად შევარდნაძემ ასე განაცხადა: „მე ვიცი, როგორ დაიშალოს პარლამენტი, ეს უნდა გააკეთოს ხალხმა...“ არც მეტი, არც ნაკლები!

ასე რომ ბ-ნი დავითის მკაცრი დასკვნა — „როცა კანონის აღსრულების შემთხვევაში შეგიძლია პრაქტიკულად ხელისუფლების ნებისმიერი გადაწყვეტილების ბლოკირება მოახდინო და ამ შესაძლებლობას ვერ იყენებ, ეს, რბილად რომ ვთქვათ, უგერგილობაა“ — აბსოლუტურად უსაფუძვლოა.

რაც შეეხება ოპოზიციის არსენალში არსებულ „მრისხანე იარაღს — კანონს“. ზოგადად, რა თქმა უნდა, კანონი მრისხანე იარაღია კანონდამრღვევის საწინააღმდეგო, მაგრამ, სამწუხაროდ, ჩვენს სინამდვილეში ასე არაა. როცა კომუნისტურ-ჭუჭური სამართლებრივი ცნობიერების გამოხატულება აპოთეოზს კანონიერების დაცვის უპირველესი გარანტის — სახელმწიფოს მეთაურის გამოსვლაში აღწევს (გავიხსენოთ რიხით ნათქვამი შევარდნაძის სიტყვა — თუნდაც 50 ხელმოწერა შეაგროვონ, პარლამენტის სხდომას მაინც არ მოვიწვევ და თუ მაგარი ბიჭები არიან, გადამაყენონო!) ცხადი უნდა გახდეს, რომ ამ დროს კანონი მრისხანე იარაღი არაა; არც კანონდამრღვევის მხილებით, მორალური გამარჯვების მოპოვებაა მოსალოდნელი საზოგადოების თვალში, რადგან სამართლებრივი ნიჰილიზმით გამოხრულ და ლამის ტოტალურად სამართალდამრღვევ საზოგადოებას კანონიერების დაცვის მოთხოვნილება ნაკლებად აქვს (მისი მოთხოვნილება წესრიგის დაცვის სურვილით შემოიფარგლება; ჭუთაისში „აქტივთან“ გამართული შეხვედრისას შევარდნაძის თქმული ფრაზა — ყოველი საშუალებით უნდა დავიცვათ წესრიგი, თუნდაც კანონის დარღვევითო, მრავლისმეტყველია).

იმის საჩვენებლად, თუ როგორია სამართლებრივი ცნობიერების (რომლის უქონლობის შემთხვევაში აზრი არა აქვს კანონზე, როგორც მრისხანე იარაღზე საუბარს) დონე — არა მარტო მასში, არამედ ცოტა უფრო „მაღლა“, ორიოდე მაგალითს კიდევ დავიმოწმებ.

1993 წლის 3 ნოემბერს გაზეთი „დრონი“ იუწყებოდა დასავლეთ საქართველოში მაროდიორობის გავრცელების შესახებ და იმოწმებდა მაროდიორობისადმი „მხედრიონის“ დამოკიდებულების გამომხატველ განცხადებას: „მათ საქმეს თავად „მხედრიონი“ გამოიძიებს“. გაზეთს („მხედრიონზე“ ლაპარაკი ზედმეტია) არ გასჩენია სურვილი, იქვე ერთი ფრაზით მაინც ეთქვა, რომ „მხედრიონი“ საგამოძიებო ორგანო არაა და მას არც გამოძიების, არც დასჯის უფლება არა აქვს.

მეორე სოლიდურმა გაზეთმა „7 დღემ“ (№39. 1993 წ.) გამოაქვეყნა ფირმა „ფსიქოლოგიური სამსახურის“ მიერ 14-17 ოქტომბერს ჩატარებული სოციოლოგიური გამოკვლევის შედეგები. გთავაზობთ მის ერთ ფრაგმენტს. კითხვა: „იმ შემთხვევაში, თუ პარლამენტი არ დაუჭერს მხარს საქართველოს შესვლას თანამეგობრობაში, ედუარდ შევარდნაძემ უნდა გააუქმოს თუ არა პარლამენტი? პასუხი: „დიახ — 38,2%, არა— 27,2%, პასუხის გაცემა გაუჭირდა — 14,6%.

არც „ფსიქოლოგიურ სამსახურს“, არც „7 დღეს“ და გამოკითხულთა 38,2%-ს არ გასჩენიათ უხერხულობის გრძნობა იმის გამო, რომ შევარდნაძეს პარლამენტის არც „გაუქმების“ უფლება აქვს, არც დაშლისა.

ბ-ნი დავითის მიერ მოტანილი მეორე მაგალითიც ვერ ასაბუთებს ოპოზიციის „უგერგილობას“. ლუსტრაციის კანონის მნიშვნელობაზე მიხეილ ნანეიშვილის გარდა იმავე „ივექსში“ წერდნენ რესპუბლიკელები ლაშა ტუდუში და პაატა ზაქარეიშვილი. ხოლო პარლამენტმა რესპუბლიკელ ირაკლი მელაშვილის ინიციატივით მიიღო დადგენილება სპეციალური კომისიის შექმნის შესახებ; კომისიას უნდა გამოერკვია „კაგებესთან“ პარლამენტართა ურთიერთობის ისტორია და ხასიათი. გარდა ამისა, რესპუბლიკელებს კარგა ხანია მზად აქვთ ლუსტრაციის კანონის პროექტი, ასე რომ პატივცემული ავტორის მსჯელობა — „... ორში ერთია: ან ოპოზიციონერებს ეშინიათ თვითონ მათ რიგებში არ აღმოჩნდეს ბევრი აგენტი, ან კვლავ ვერ აცნობიერებენ საკითხის მნიშვნელობას, პირადად მე უფრო მეორე მგონია“ — კვლავ არასწორ წანამძღვრებს ემყარება. ოპოზიცია, ყოველ შემთხვევაში, რესპუბლიკური პარტია, აცნობიერებს ლუსტრაციის კანონის მნიშვნელობას, თუმცა შიშის ფაქტორი ნამდვილად მოქმედებს, ოღონდ არა შიში საკუთარ რიგებში „კაგებეშნიკების“ აღმოჩენისა, არამედ სხვა ხასიათისა; კერძოდ, ამა თუ იმ პოსტკომუნისტურ ქვეყანაში ლუსტრაციის კანონი მიიღო და შესაბამის შედეგებსაც მიაღწია ანტიკომუნისტურმა, სახელმწიფოებრივი ცნობიერების მქონე და მორალურად სუფთა ხელისუფლებამ. ამგვარი ხელისუფლების არსებობა აუცილებელი პირობაა იმისა, რომ ლუსტრაციის კანონი მძლავრი იარაღი გახდეს დამოუკიდებელი სახელმწიფოებრიობის განსამტკიცებლად. საქართველოში ასეთი ხელისუფლება არ არის. არის ანტიეროვნული, ანტისახელმწიფოებრივი, მარიონეტული და უაღრესად კორუმპირებული ხელისუფლება; ამას დავუმატოთ ისიც, რომ უშიშროების სამსახურს სათავეში სწორედ რუსების გამოწვრთნილი პროფესიონალი „კაგებეშნიკი“ უდგას, „კაგებეს“ არქივებსაც გიორგაძე, ანუ ფაქტობრივად რუსეთი განაგებს. ყოველივე ზემოთქმული გავითვალისწინოთ და თეორიულად დავუშვათ, რომ ხელისუფლებამ მიიღო ლუსტრაციის კანონი. არის კი გარანტია, რომ აღნიშნული კანონი შეასრულებს თავის სახელმწიფოებრივ ფუნქციას? ხომ არ არის იმისი დიდი ალბათობა, რომ რუსების აგენტურული ქსელი ფაქტობრივად გაუხსნელი დარჩება, ხოლო სუფთა წარსულის მქონე პატრიოტული და სახელმწიფოებრივი აღმშენებლობის პოტენციის მქონე ძალები თუ ცალკეული პირები შეთითხნილი დოკუმენტების საფუძველზე „შავ სიაში“ მოხვდებიან და ამით რუსეთი დიდი ხნით მოსპობს დამოუკიდებელი ეროვნული სახელმწიფოებრიობის შექმნის შესაძლებლობას? არის კი ამგვარი გაყალბების თავიდან აცილების მექანიზმი?

ამ კითხვების დაუსმელობა და მათზე პასუხების გაუცემლობა საქმის გამარტივება და საკითხის არსის არასრულყოფილად წარმოჩენაა. არასრულყოფილი მსჯელობის საფუძველზე გაკეთებული დასკვნები კი ფასს კარგავს. არადა ღირებული „მკვახე შეძახილი“ დიახაც სასარგებლო რამაა.

სასამართლო

– ტატიშვილებს ბრალს ველარაფერში დასდებენ

– დარწმუნებულია ადვოკატი

საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი სასამართლოს კოლეგიამ ძმები ტატიშვილების გახმაურებული საქმე 14 თებერვალს არ განიხილა ადვოკატ ვახტანგ ველიაშვილის შუამდგომლობით და სხდომა რვა დღით გადადო. ადვოკატი ველიაშვილი ითხოვდა, რომ კოლეგიისთვის ეთავმჯდომარა უმაღლესი სასამართლოს თავმჯდომარეს ან მის მოადგილეს, რადგან აღნიშნული საქმე მისი აზრით კოლეგიაში ასეთი დონის მონაწილეობას საჭიროებს. ადვოკატმა წერილობითი შუამდგომლობა 13 თებერვალს სცადა წარედგინა უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარისთვის, რომელმაც უცხოელი სტუმრების გამო მისი მიღება ვერ შესძლო. თავმჯდომარის თანაშემწემ ჩაიბარა წერილობითი შუამდგომლობა და დაპირდა, რომ პასუხს 14 თებერვლის კოლეგიის სხდომაზე მიიღებდა, მაგრამ პასუხი სხდომაზე არ იქნა გაცემული. შუამდგომლობას პასუხი ვერ გასცა ვერც კოლეგიამ, რადგან, ბუნებრივია, თავად კოლეგია ვერ გადაწყვეტდა უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარის კოლეგიის თავმჯდომარეობის საკითხს.

ახლა კი ტატიშვილების საქმესთან დაკავშირებული რამდენიმე საკითხის შესახებ:

რესპუბლიკის პროკურატურის პროტესტი მცხეთის სასამართლოს გადაწყვეტილების თაობაზე მოტივირებულია იმით,რომ თითქოსდა სოფელ მუხრანის მცხოვრებლებს ზეწოლა მოეხდინათ პროკურორსა და მოსამართლეზე. ამ ფაქტს მხოლოდ პროკურორი ადასტურებს, რასაც მას ბატონ ვახტანგ ველიაშვილის აზრით, შესაძლოა ზემოდან აიძულებენ. აღსანიშნავია ისიც, რომ თანამდებობიდან გათავისუფლებულია ტატიშვილების გამომძიებელი. „ჩვენ გვინდა დავადგინოთ ის, თუ ვინ ახდენს ზეწოლას“, თქვა ჩვენთან საუბარში ადვოკატმა. „ამ საქმის შესახებ ინფორმაციის საშუალებები, კერძოდ, ტელევიზია დამახინჯებულ ცნობებს გადმოსცემს, თუმცა ეს მათი ბრალი შეიძლება არც იყოს, რადგან ისინი ინფორმაციას პროკურატურის პრესსამსახურიდან იღებენ. ინფორმაცია შესაძლოა ტენდენციური იყოს, გამოხატავდეს ვისიმე პოზიციას, მაგრამ ამ შემთხვევაში ეს ინფორმაციები აყალიბებენ გარკვეულ საზოგადოებრივ აზრს, მაშინ როცა სასამართლოს კოლეგიას ჯერაც არ გადაუწყვეტია განაჩენის კანონიერების საკითხი. სწორედ ამიტომ გვინდა დავადგინოთ, ვინ ვისზე ახდენს ზეწოლას და რომელ ზეწოლას უფრო მეტი ძალა აქვს. პროკურატურა თვლის, რომ განაჩენი ლმობიერია, ჩვენ კი ვთვლით, რომ განაჩენი არცთუ მსუბუქი იყო, რადგან გაემართლებინათ ამ ხალხის პატიმრობაში ყოფნა. ისინი ხომ ერთი წელი იყვნენ დაპატიმრებული“, აღნიშნა ადვოკატმა.

რაც შეეხება ტატიშვილების წამების ფაქტებს — ფეხებით დაკიდებას, ბორკილების დადებას, ფრჩხილებისა და ხორცის დაგლეჯას, ბუნებრივია, ამას არ აკეთებდნენ იმისთვის, რომ მათ მიერ იარაღის შენახვის ფაქტები დაედგინათ, რისთვისაც ტატიშვილებს პირობითი სასჯელი შეუფარდეს, არც მათი სამეურნეო საქმიანობის გამოძიებისათვის იყო საჭირო ადამიანის წამება. შესაძლებელია ჩატარდეს რევიზია, სასამართლო ექსპერტიზა და დადგინდეს, ხდებოდა თუ არა რაიმე მაქინაციები მათ სამეურნეო საქმიანობაში. ადვოკატის ცნობით, ტატიშვილების საქმე 18 ტომისაგან შედგებოდა. აქედან მხოლოდ სამ ტომში შედიოდა ის მასალები, რის გამოც მათ ბრალი დაედოთ. დანარჩენი ბრალდება არ დადასტურდა. მათი სამეურნეო საქმიანობის შესახებ, რის შესახებაც საკმაოდ ძლიერმა მოწვეულმა სპეციალისტებმა 60 - გვერდიანი ანგარიში დწერეს, პროკურატურამ ბრალის უქონლობის გამო საქმის წარმოება შეწყვიტა. აღმოჩნდა, რომ ტატიშვილები არც ფალსიფიცირებულ შამპანურს ასხამდნენ და არც კონიაკს. ეს სასმელები მათთან პარტერული გაცვლის შედეგად აღმოჩნდა. სწორედ იმ ზემოთ აღნიშნულ ტომებში იყო მასალები, რითაც მძიმე დანაშაულებებში სდებდნენ ბრალს ტატიშვილებს და მათგან წამებით ამ დანაშაულთა აღიარებას მოითხოვდნენ.

ადვოკატის ცნობით, კვირაიას არ ჰქონდა ჩაფიქრებული 3 დეკემბრის „ფარიოშასშტაბიანი ოპერაცია“. ეს დავით ზეიკიძის მილიციონერული ხელოვნება გახლდათ. თუმცა ამის შესახებ სასამართლოს ცნობები არ გააჩნია, რადგან ეს მხოლოდ ოპერატიული ცნობებია.

არის კიდევ ერთი შეუსაბამობა: გენერალური პროკურორის მოადგილემ ერთგან ინტერვიუში განაცხადა: ამ საქმეს ხელახალი გამოძიება სჭირდებაო, თუმცა მან თავად დაამტკიცა საბრალდებო დასკვნა. სასამართლოში კი,ადვოკატის თქმით, ითხოვენ, რომ განაჩენი უნდა გაუქმდეს, რადგან იგი ლმობიერიაო. ძნელი გასარკვევი ხდება, რითია პროკურატურა უკმაყოფილო, გამოძიებით თუ განაჩენით.

ძიების ჩატარება დღევანდელ პირობებში მართლაც ძნელი უნდა იყოს და ამ მხრივ პროკურორის უკმაყოფილება შეიძლება გასაგებიც გახდეს, მაგრამ გასაკვირია ის, რომ იგი უკმაყოფილებას არ გამოხატავს იმ წამების ფაქტების ძიების გამო, რაც, ჩვენი აზრით, გაცილებით იოლი გამოსაძიებელიცაა და არანაკლებ მნიშვნელოვანიც. ნუთუ, ქალაქის პოლიციის სამმართველოში უბრალო ჟურნალიც არ არსებობდა, სადაც მორიგე თანაშრომლებისა თუ ზედამხედველების გვარები იქნებოდა დაფიქსირებული. აქვე უნდა აღინიშნოს ისიც, რომ ჩვენი საზოგადოების ერთი ნაწილი თითქოსდა შეგუებულია სამართალდამცავი ორგანოების მხრიდან ჩადენილ არცთუ იშვიათ „ძალისხურ ღონისძიებებს“, რასაც დაკავებულების წინააღმდეგ იყენებენ. იქნებ იქ ჯანზე მოსულ ბიჭებს უფრო დიდი დამცველი ეგულებათ და ჰყავთ კიდეც, ვიდრე კანონია „მოკედავი“ ადამიანებისთვის მათი უფლებების დასაცავად. რაც შეეხება ბატონ დავით ზეიკიძეს, მას ლამის სახელმწიფოს მეთაურამდე მიუწვდებოდა ხელი და ტატიშვილების გამო ალბათ დიდად არც ახლა დაზარალდება.

მოკლედ, სასამართლო კოლეგია ტატიშვილების განაჩენს კანონიერებას განიხილავს. ადვოკატი ველიაშვილი კი დარწმუნებულია, რომ ტატიშვილებს ბრალს ველარაფერში დასდებენ.

ვახტანგ კომახიძე

მკითხველთა საყურადღებოდ!

ჩვენმა დუხჭირმა ყოფამ ადამიანები ყოველდღიურ სარჩოსაბადებლის ძიებას მიაჯაჭვა.

ყურადღების მიღმა გვრჩება ფიქრი და ზრუნვა ისეთ მარადიულ კატეგორიებზე, როგორიცაა პიროვნების, ერის, კაცობრიობის რაობა, წარსული, აწმყო და მომავალი, ეს კატეგორიები სრულიადაც არ გახლავთ მხოლოდ თეორიის ავტონომიური სფერო და მჭიდროდაა დაკავშირებული სწორედ ჩვენი ყოფის ავ-კარგის განსაზღვრასთან.

სწორედ ამ დიდ მიზანს ისახავს სემინარების, დისკუსიების ციკლი, რომელსაც იწყებს გაერთიანებული რესპუბლიკური პარტია.

პარასკევს, 24 თებერვალს 2 საათზე გაერთიანებული რესპუბლიკური პარტიის შტაბ-ბინაში დაიწყება დისკუსია თემაზე: „პიროვნება, ერი, კაცობრიობა“. სემინარულ მუშაობას წარმართავს, ლექციების კურსს წაიკითხავს, გაერთიანებული რესპუბლიკური პარტიის პოლიტიკური საბჭოს წევრი, ამავე პარტიის განათლებისა და მეცნიერების კომისიის თავმჯდომარე, ფსიქოლოგიის ინსტიტუტის დირექტორი აკადემიკოსი შოთა ნადირაშვილი.

ამ თემატიკით დაინტერესებულ პირებს გთხოვთ მობრძანდეთ გაერთიანებული რესპუბლიკური პარტიის ოფისში (თავისუფლების მ. №5).

სემინარული მუშაობა გაგრძელდება პარასკევობით 14 სთ-ზე.

გაერთიანებული რესპუბლიკური პარტიის პრესსამსახური

ᲙᲠᲘᲢᲘᲙᲐ

ᲡᲔᲠᲘᲝᲖᲣᲚᲘ ᲡᲐᲙᲘᲗᲮᲘ

ᲩᲔᲛᲡ ღია წერილს საქართველოს სახელმწიფოს მეთაურისადმი (გაზეთი „საქართველო“, №24, ნოემბერი, 1994) მკვეთრი გამოხმაურებები მოჰყვა გაზეთებში „აჭარასა“ და „ლიტერატურულ საქართველოში“. ოპონენტთაგან არცერთმა არ ისურვა თავისი გამოხმაურების წარდგენა იმ ორგანოში, სადაც ჩემი ღია წერილი დაიბეჭდა. ეს კი უტყუარად მეტყველებს იმაზე, რომ ჩვენში პრესასთან თანამშრომლობის კულტურაც მოიკოჭლებს.

ოპონენტებმა ჩემს ღია წერილში გამოთქმული შენიშვნებიდან ვერცერთი ვერ დაარღვიეს და გამომდინარე აქედან შეიძლებოდა დამეთავრებინა ამ თემაზე საუბარი, მაგრამ არის ერთი სერიოზული საკითხი, რის განსჯაც აუცილებლად მიმაჩნია. ესაა აჭარის მინისტრთა საბჭოს 1994 წლის 15 აპრილის დადგენილება აჭარის ისტორიის ნარკვევების ოთხტომეულის შესაქმნელად, რაც ჩემს ხსენებულ ღია წერილში უარყოფითადაა შეფასებული.

აღნიშნულ ოთხტომეულთანაა დაკავშირებული მთლიანად საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ბათუმის ნიკო ბერძენიშვილის სახელობის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის დირექტორის, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტის, აჭარის ისტორიის ნარკვევების ოთხტომეულის მთავარი რედაქტორის დავით ხახუტაიშვილის გამოხმაურება — „განა ასე შეიძლება?“ („ლ.ს.“, №6, თებერვალი, 1995).

მადლობა ღმერთს, ახლა იმის საშუალება მაინც არის, რომ მიმართო ნებისმიერ პიროვნებას, თვით სახელმწიფოს მეთაურსაც კი და ამისათვის არ დაგიჭერენ. ასევე, სრულიად მიღებული ფორმით შეიძლება ამა თუ იმ აზრის გაკრიტიკება, მიღება— არმიღება და ა.შ. მაგრამ რას ნიშნავს და რას მივაწეროთ, რომ ისეთი პატივცემული პიროვნება, როგორიც გახლავთ ბ-ნი დ. ხახუტაიშვილი, არ ერიდება ჩემს დამცირებას მკითხველის თვალში და წერილს იწყებს ჩემდამი შეგონებითა და ჭკუის სწავლებით.

ბ-ნო დავით, მე ძალიან კარგად მესმის,რომ აჭარის ისტორიის ნარკვევების ოთხტომეულის მთავარი რედაქტორობის შემდეგ საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ნამდვილი წევრობის მაცდუნებელი პერსპექტივა ისახება (მითუმეტეს, რომ თქვენ აკადემიის წევრ-კორესპონდენტად, თავის დროზე რეგიონალური პრინციპით აგირჩიეს). მაგრამ განა თქვენი პირადი ამბიციები მე საკუთარი აზრის გამოთქმას მიკრძალავს?

პატივცემული ოპონენტის გამოსვლაში უგულებელყოფილია ჩემი შენიშვნის ფონი, რამაც მკითხველი შეიძლება უარყოფითად განაწყოს ჩემი მოსაზრებისადმი. ჩემი ღია წერილის ძირითადი აზრი კი ის იყო, რომ აჭარის ხელისუფლება ატარებს განკერძოების პოლიტიკას, აყალიბებს პარალელურ სტრუქტურებს, რაც სახელმწიფოში სახელმწიფოს შექმნის მცდელობაა, აწესებს უამრავ კუთხურ სახელმწიფო პრემიებს (პროვინციალიზმის ზეობა) და ა.შ. ყოველივე ამის გათვალისწინებით აჭარის ისტორიის ოთხტომეულის შექმნისათვის მზადება ღია წერილში მივიჩნიე სხვა არაფრად, თუ არა იდეოლოგიური ფონის შემზადებად შორსმიმავალი მიზნებით. წესითა და რიგით სწორედ ჩემი ეს ფრაზა უნდა გამხდარიყო ოთხტომეულის მთავარი რედაქტორის დავით ხახუტაიშვილის გამოხმაურება — „განა ასე შეიძლება?“ („ლ.ს.“, №6, თებერვალი, 1995).

მადლობა ღმერთს, ახლა იმის საშუალება მაინც არის, რომ მიმართო ნებისმიერ პიროვნებას, თვით სახელმწიფოს მეთაურსაც კი და ამისათვის არ დაგიჭერენ. ასევე, სრულიად მიღებული ფორმით შეიძლება ამა თუ იმ აზრის გაკრიტიკება, მიღება— არმიღება და ა.შ. მაგრამ რას ნიშნავს და რას მივაწეროთ, რომ ისეთი პატივცემული პიროვნება, როგორიც გახლავთ ბ-ნი დ. ხახუტაიშვილი, არ ერიდება ჩემს დამცირებას მკითხველის თვალში და წერილს იწყებს ჩემდამი შეგონებითა და ჭკუის სწავლებით.

ბ-ნო დავით, მე ძალიან კარგად მესმის,რომ აჭარის ისტორიის ნარკვევების ოთხტომეულის მთავარი რედაქტორობის შემდეგ საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ნამდვილი წევრობის მაცდუნებელი პერსპექტივა ისახება (მითუმეტეს, რომ თქვენ აკადემიის წევრ-კორესპონდენტად, თავის დროზე რეგიონალური პრინციპით აგირჩიეს). მაგრამ განა თქვენი პირადი ამბიციები მე საკუთარი აზრის გამოთქმას მიკრძალავს?

პატივცემული ოპონენტის გამოსვლაში უგულებელყოფილია ჩემი შენიშვნის ფონი, რამაც მკითხველი შეიძლება უარყოფითად განაწყოს ჩემი მოსაზრებისადმი. ჩემი ღია წერილის ძირითადი აზრი კი ის იყო, რომ აჭარის ხელისუფლება ატარებს განკერძოების პოლიტიკას, აყალიბებს პარალელურ სტრუქტურებს, რაც სახელმწიფოში სახელმწიფოს შექმნის მცდელობაა, აწესებს უამრავ კუთხურ სახელმწიფო პრემიებს (პროვინციალიზმის ზეობა) და ა.შ. ყოველივე ამის გათვალისწინებით აჭარის ისტორიის ოთხტომეულის შექმნისათვის მზადება ღია წერილში მივიჩნიე სხვა არაფრად, თუ არა იდეოლოგიური ფონის შემზადებად შორსმიმავალი მიზნებით. წესითა და რიგით სწორედ ჩემი ეს ფრაზა უნდა გამხდარიყო ოთხტომეულის მთავარი რედაქტორის დავით ხახუტაიშვილის გამოხმაურება — „განა ასე შეიძლება?“ („ლ.ს.“, №6, თებერვალი, 1995).

მადლობა ღმერთს, ახლა იმის საშუალება მაინც არის, რომ მიმართო ნებისმიერ პიროვნებას, თვით სახელმწიფოს მეთაურსაც კი და ამისათვის არ დაგიჭერენ. ასევე, სრულიად მიღებული ფორმით შეიძლება ამა თუ იმ აზრის გაკრიტიკება, მიღება— არმიღება და ა.შ. მაგრამ რას ნიშნავს და რას მივაწეროთ, რომ ისეთი პატივცემული პიროვნება, როგორიც გახლავთ ბ-ნი დ. ხახუტაიშვილი, არ ერიდება ჩემს დამცირებას მკითხველის თვალში და წერილს იწყებს ჩემდამი შეგონებითა და ჭკუის სწავლებით.

ბ-ნო დავით, მე ძალიან კარგად მესმის,რომ აჭარის ისტორიის ნარკვევების ოთხტომეულის მთავარი რედაქტორობის შემდეგ საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ნამდვილი წევრობის მაცდუნებელი პერსპექტივა ისახება (მითუმეტეს, რომ

ნი ლრმა რწმენით, ისტორიულ სინამდვილეზე ძალდატანება იქნება. ამაზე უნდა მიანიშნებდეს ის ფაქტიც, რომ ამ დადგენილების დამფიქრებელი ტექსტი არ გავრცელდა საქართველოს მასობრივი საინფორმაციო საშუალებებით, თუმცა თვით ბ-ნი დ. ხახუტაიშვილი დაინებით თხოვდა ამას „ლიტერატურული საქართველოს“ რედაქციას („ლ.ს.“ 1 ივლისი, 1994);

მესამე, ის, რომ ჩრავალტომეულებით, როგორც წესი საერთო ქვეყნის ისტორია იწერება და მომავალში შეიძლება ეს ფაქტორი (აჭარის ისტორიის ნარკვევების ოთხტომეული), სხვა ფაქტორებთან ერთად საქართველოს მთლიანობის საზიანო იდეოლოგიურ ფონად იქნას გამოყენებული.

აი, ის ძირითადი მიზეზები, რის გამოც არ ვიზიარებ და წინააღმდეგი ვარ საქართველოს ნებისმიერი კუთხის და ამ კონკრეტულ შემთხვევაში აჭარის ისტორიის ნარკვევების ოთხტომეულის შექმნისა.

მოგეხსენებათ, პოლემიკაში მთავარია საბუთები და ვნახოთ რა საბუთები გააჩნია პატივცემულ ოპონენტს თავისი მოსაზრების გასამართლებლად.

ბ-ნი დ. ხახუტაიშვილი ორ „არგუმენტს“ აყენებს:ამ აზრის იყო აკად. ნიკო ბერძენიშვილი. და საქართველოს მ.აკადემიის ბათუმის ნიკო ბერძენიშვილის სახელობის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის ფუნქციერებამ 35 წლის მანძილზე, შექმნა ყველა პირობა ამ ეროვნული საქმის შესასრულებლადო.

ოპონენტი იმოწმებს ნ. ბერძენიშვილის შემდეგ აზრს: „ქვეყანა საქართველოს შესწავლა მასში შემავალ „ქვეყანათა“ შესწავლით უნდა წარიმართოს... ამოცანა ისაა დავადგინოთ, თუ როდის, როგორ, რა საფუძველზე წარმოიქმნა თითოეული ქვეყანა (ქართლი, კახეთი, ეგრისი და სხვ.). კიდევ მეტი: როდის და როგორ მოხდა, რომ ამ შედარებით მოზრდილ ერთეულებში (ქვეყნებში) მაგალითად, ეგრისში, უფრო მცირე ერთეულები გამოიკვეთა (შიდა ეგრისი, მუხურისი, ფერსათი, გურია...“ („საქართველოს ისტორიის საკითხები, VIII, 1990, გვ. 14).

დავაკვირდეთ მკითხველო, ვერერთი, აქ სადმე წერია ან „ნარკვევები“, ან „ტომეულები“? არ წერია და არც შეიძლება ეწეროს, რადგანაც დიდი მეცნიერი ასეთ შეცდომას არ დაუშვებდა. მეორეც, ნ. ბერძენიშვილის ხსენებულ ციტატაში აჭარა საერთოდ არ ფიგურირებს და ეს გასაგებიცაა. საერთო ინტერესებიდან გამომდინარე, უპირველესად უფრო მნიშვნელოვანია ქართლის (სადაც შევა აჭარის ისტორიაც), კახეთისა და ეგრისის ისტორიების შესწავლა და დიდ მეცნიერს ეს რეგიონები შემთხვევით არ დაუსახელებია.

რაც შეეხება იმასრომ ნ. ბერძენიშვილი ქვეყანა — საქართველოს შესწავლას მასში შემავალი „ქვეყნების“ (დღევანდელი გაგებით — რეგიონების) შესწავლით მოითხოვდა, ამის საწინააღმდეგო ვის რა უნდა ჰქონდეს, მაგრამ, ამ კონკრეტულ შემთხვევაში რეგიონის ისტორიის ნარკვევების მრავალტომეულის შექმნის მცდელობას, სპარატიზმის სუნი ასდის (ბ-ნ დავითს ეს პირველად ჩემგან არ უნდა ესმოდეს).

ისიც უნდა ითქვას, რომ ადრე, ამ საკითხზე მსჯელობისას დ. ხახუტაიშვილი ნ. ბერძენიშვილს იმოწმებდა საქართველოში შემავალი „ქვეყნების“ შესწავლის მნიშვნელობაზე ისტორიული გეოგრაფიის პოზიციიდან („ლ.ს“ 1 ივლისი, 1994. დამოწმებულია „საქართველოს ისტორიის საკითხები“, IX, 1990, გვ. 18). სავარაუდებელია, რომ ეს ნ. ბერძენიშვილის უფრო დაზუსტებული თვალსაზრისია (მხედველობაში მაქვს ის გარემოება,რომ თვით დ. ხახუტაიშვილის დამოწმებულ „საქართველოს ისტორიის საკითხების“ IX ტომშია ეს აზრი, ხოლო მეორე აზრი, რასაც ემყარება ოპონენტი ბოლო გამოსვლაში, VIII ტომშია მოთავსებული) და იქნებ ამიტომაც გაქრა იგი დ. ხახუტაიშვილის ახალ გამოსვლაში. ეს კი შემთხვევითი არ

უნდა იყოს, რადგანაც — ის, რაც შესაწყნარებელია ისტორიული გეოგრაფიის პოზიციიდან, შეიძლება სრულიად მიუღებელი გახდეს ისტორიის მეცნიერების პოზიციიდან.

დ. ხახუტაიშვილის მეორე არგუმენტის თანახმად საქართველოს მ. აკადემიის ბათუმის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის 35 წლიანი ფუნქციერების გამო „... საქართველოს ქართულ რეგიონთა შორის აჭარა აღმოჩნდა ყველაზე მოაზადებული პირველი შესდგომოდა ამ ამოცანის განხორციელებას“. ამ არგუმენტის მცდარობა პირველი არგუმენტიდან მომდინარეობს, რადგანაც საქართველოში ასეთი ამოცანა არავის დაუსახავს. ხოლო ის, ვინც ფიქრობს, რომ დღეს საქართველოში, ქართულ რეგიონთა შორის, აჭარის ისტორიის დასაწერად უფრო მზადაა საფუძველი, ვიდრე მაგალითად— ქართლის, კახეთის ან იმერეთის ისტორიის, ან მეცნიერებასთან მწყრალადაა ან კიდევ შეგნებულად ამრუდებს ვითარებას მისთვის სასურველი მიმართულებით.

საერთოდ კი, ალბათ უფრო მართებული იქნებოდა ნარკვევების ასეთი სახით წარმოდგენა: საშრეთ-დასავლეთ საქართველოს ისტორია ტ. I (აჭარა), ტ. II (გურია) და ა.შ. მაშინ არც გაუგებრობა წარმოიშობოდა და არც ეჭვები გაჩნდებოდა.

ერთ მომენტზეც გვინდა შეეჩერდე. ბ-ნმა დ. ხახუტაიშვილმა, რამდენადაც ვიცი— თვითონ რეპრესირებული ოჯახის შვილმა, „დანოსად“ ჩამითვალა ისრომ აღვნიშნე აჭარის ისტორიის ნარკვევებთან დაკავშირებული ზოგიერთი ისტორიკოსის უარყოფითი აზრი.

ბ-ნო დავით, დიახ გაგსაუბრე მათ და „დანოსი“ იქნებოდა მათი გვარები რომ დამესახელებინა და არა ისრაც თქვენ ჩემზე გაავრცელეთ. „დანოსი“ არც ისაა, რაც თქვენი მისამართით აღვნიშნე ცხელ გულზე (გაზეთი „საქართველო, №5, 1995). მაგრამ ეს ხომ თქვენ მაიძულეთ?

დასასრულს კი ვიტყოდით, რომ ჩვენმა საზოგადოებამ აქედანვე უნდა მიაქციოს ყურადღება ისეთ საშიშ ტენდენციებს, რაც ახლო მომავალში ქართველი ხალხის ერთიანი ცნობიერების საწინააღმდეგოდ იმუშავებს. კუთხეების ისტორიის ნარკვევების მრავალტომეულების შექმნის მცდელობა, სწორედ ერთი ასეთი საშიში ტენდენციაა.

ᲛᲘᲮᲔᲘᲚ ᲛᲐᲮᲐᲠᲐᲫᲔ

ᲬᲔᲠᲘᲚᲘ ᲞᲘᲠᲕᲔᲚᲘ

ᲔᲠᲗᲘᲐᲜᲘ ᲠᲣᲡᲔᲗᲘ

ᲕᲐᲮᲢᲐᲜᲒ ᲒᲣᲠᲣᲚᲘ

„სახელმწიფოსა სჯულის ერთობა
არარას არგებს, ოდეს თვისება
ერთა მის შორის სხვადასხვაობდეს“

ᲜᲘᲙᲝᲚᲝᲖ ᲑᲐᲠᲐᲗᲐᲨᲕᲘᲚᲘ

ᲞᲐᲠᲐᲓᲝᲥᲡᲔᲑᲘᲗᲐᲐ აღსავსე რუსეთის სახელმწიფოს ისტორია. ამ მხრივ ერთმანეთისაგან თითქმის არაფრით განსხვავდება რიურიკებისა და რომანოვების ეპოქა. კიევის მთავრებისათვის სამშობლო, ქვეყანა და სახელმწიფო იყო ის ტერიტორია (მიწა), რომელიც დაპყრობილ-დამორჩილებული ჰქონდათ და სადაც ხარკს (გადასახადს) ჰკრეფდნენ. მოგვიანებით შექმნილ რუსულ მატიანეშიც — „გარდასულ წელთა ამბავი“ (XII ს.)— სწორედ ასეთი გაგება დაკანონდა. საწინააღმდეგოდ ამისა ქართულ სინამდვილეში, უკვე საქართველოს გაერთიანების წინა ხანებში (X ს.) საყოველთაოდ გაბატონდა დიადი აზრი: **„ქართლად ფრიადი ქვეყანა აღირაცხების, რომელსაცა შინა ქართულითა ენითა ჟამი შეიწირვის და ლოცვაჰ ყოველი აღესრულების“ (გიორგი მერჩულე).** რუსულ სასულიერო და საისტორიო მწერლობას არც შემდგომ, მომწიფების პერიოდში არ უცდია სამშობლოს ცნების განსაზღვრა. 1236 წელს მონღოლთა ლაშქარი რუსეთის აღმოსავლეთ საზღვარს (მდ. ვოლგა) მოადგა. 1237 წელს მონღოლებმა აიღეს რიაზანი, 1238 წელს — ვლადიმირი, 1240 წელს — კიევი... და ამ უკიდურესად საშიშ სამხედრო-პოლიტიკურ სიტუაციაში რუსეთი მაინც არ კარგავს სხვისი ტერიტორიის მიტაცებისა და შენარჩუნების სურვილს, ცდილობს პოზიციების შენარჩუნებას ბალტიისპირეთში. მონღოლი ყაენების ყურმოჭრილ მონებად ქცეული რუსი მთავრები სულ იმის ცდაში იყვნენ რა წაეგლიჯათ მათ მეზობლად მცხოვრები არარუსი ხალხებისათვის. მხოლოდ ივანე მესამე (1462-1505) მივიდა იმ დასკვნამდე, რომ სხვა ქვეყნებისა და ხალხების დაპყრობა უაზრო და უპერსპექტივოა, თუ თვით რუსეთის (მოსკოვის სამთავრო) ეთნიკური და პოლიტიკური საზღვარი არ მოიხაზა და რუსეთის სახელმწიფო თავის საკუთარ მიწაზევე არ განმტკიცდა. ეს საზღვარი ივანე მესამემ და მისმა მემკვიდრემ ვასილ მესამემ (1505-1533) მოხაზეს კიდეც: მოსკოვი, ვლადიმირი, სუზდალი, რიაზანი, ნოვგოროდი, ფსკოვი, სმოლენსკი, ტვერი, კალუგა, ტულა... ორივე მთავარმა შესძლო ჩამოთვლილი ტერიტორიების „პყრობა“. მოსკოვის სამთავროს ხელი აღარ მიუწვდებოდა პოლოცკზე, ვიტებსკზე, მოგილევზე (ბელორუსია), კიევზე, ჩერნიგოვზე, ვოლინზე, გალიჩზე (უკრაინა), ჩრდილოეთ შავიზღვისპირეთზე (ყირიმის სახანო), კავკასიის მთისწინეთზე, შუა და ქვემო ვოლგაზე (ყაზანისა და ასტრახანის სახანოები), ბალტიის ზღვის სანაპიროებზე. რუსეთის სახელმწიფო რომ ამ გეოგრაფიულ სივრცეში განვითარებულიყო, დიდი ბედნიერება იქნებოდა როგორც საკუთრივ რუსეთისათვის, ისე მსოფლიოსათვის და პირველ რიგში რუსეთის მეზობელი ხალხებისათვის. სამწუხაროდ, ეს ასე არ მოხდა. **ნორმანული მტაცებლური სული კარგად შეერწყა მონღოლურ აგრესიულობას, დიდმპყრობლობას, ვერაგობასა და მუხანათობას.** სკანდინავიიდან გამოჭრილი ნორმანული მტაცებლური სულისა და ცენტრალურია აზიიდან გამოჭრილი მონგოლური დიდმყრობლური სულის შერწყმის შედეგად მიღებული ჰიბრიდის შესანიშნავი ნიმუში იყო ივანე მრისხანე (1533-1584). მეორე რომის — კონსტანტინეპოლის — დაცემის შემდეგ (1453 წ.) ივანე მესამის ეპოქაში რეალური ხდება იმ იდეის განხორციელებისათვის ბრძოლა, რომელიც გამოიხატება სიტყვებით: **„მოსკოვი — მესამე რომი“.** ივანე მრისხანემ კი მოსკოვის მესამე რომად გადაქცევა ცხოვრების მიზნად გაიხადა. და ეს მაშინ, როცა რუსეთში არც ცნობილ მოაზროვნეთა (სასულიერო, საერო და საისტორიო მწერლობა) და არც ცნობილ პოლიტიკოსთა შორის თავი არავის შეუწუხებია განესაზღვრა **სამშობლოს — რუსეთის ცნება.** რუსეთად იწოდებოდა ის ტერიტორია (მიწა), რომელსაც მეფე დაიპყრობდა, სადაც რუსეთის ჯარის საგუშაგოს ან ყაზარმას ააგებდნენ და სადაც რუსეთის ხაზინის სასარგებლოდ გადასახადი იკრიბებოდა. 1552 წელს დაპყრობილი იქნა ყაზანის სახანო, ხოლო 1556 წელს — ასტრახანის სახანო. დაიწყო მზადება ჩრდილო კავკასიაში შეჭრისათვის. მალე (1581-1598 წწ.) ყაზანისა და ასტრახანის სახანოების ბედი გაიზიარა ციმბირის სახანომ. რუსეთმა ურალის მთებს გადააბიჯა. ციმბირის სახანო რიურიკების ბოლო მონაპოვარი იყო. **რუსეთი სულ უფრო საშიში ხდებოდა მეზობელი სახელმწიფოებისათვის** (შვეცია, პოლონეთი, ირანი, თურქეთი და სხვ.) რუსეთისაგან ტერიტორიების მიტაცების ხანგრძლივი პროცესი ახალ ფაზაში შევიდა პეტრე I დროს.

პეტრე პირველი ალექსი მიხეილის ძე რომანოვისა და ნატალია ნარიშკინას შვილი კი არ იყო, არამედ ქართველი ბატონიშვილის ერეკლე პირველი ნაზარალიხანისა და ნატალია ნარიშკინსა. თუმცა პეტრე დიდი მუდამ იყო მხოლოდ რუსი სახელმწიფო მოღვაწე, რუსული სამყაროს განუყოფელი ნაწილი. რიურიკების მიერ შექმნილმა სახელმწიფო სისტემამ რუსეთში შვიდ საუკუნეზე მეტი (IX—XV სს) იარსება და განაპირობა სლავიანური მოდგმის დიდი აღმავლობა. პეტრე დიდის მიერ შექმნილმა სახელმწიფო სისტემამ რუსეთში ორ საუკუნეზე მეტი იარსება და რუსეთი აქცია მსოფლიოს უძლიერეს დერჟავად.

პეტრე დიდს არც უცდია ნორმანული მტაცებლური სულის აღმოფხვრა. ეს შეუძლებელიც იყო. პეტრე პირველმა ნორმანული მტაცებლური სული მის მიერ შექმნილი სახელმწიფო სისტემის განუყოფელ ნაწილად აქცია, მისცა მას უფრო მიზანსწრაფული, ორგანიზებული ხასიათი და სახელმწიფო პოლიტიკის რანგში აიყვანა. პეტრე პირველი რომ აქ შეჩერებულიყო, იგი ივანე მრისხანის ტოლ სახელმწიფო მოღვაწედაც არ მოიხსენიებოდა. პეტრე დიდის მისია სხვა იყო, **თუ რიურიკები რუსეთს დროდადრო მტაცებლური ლაშქრობისათვის აღვიძებდნენ, პეტრე დიდმა რუსეთი სამუდამოდ გამოაღვიძა, გამოაღვიძა მუდმივი აღმშენებლობისათვის, მუდმივი დაპყრობებისათვის, არსებობისათვის უწყვეტი ბრძოლისათვის.**

პეტრე პირველის ეპოქამდე რუსეთ-საქართველოს ურთიერთობას შემთხვევითი სპონტანური ხასიათი ჰქონდა. მხედველობაში რომ არ მივიღოთ რუსთა და ქართველთა „შეხვედრები“, რასაც X საუკუნიდან ჰქონდა ადგილი, არც XIV—XVII საუკუნეების ურთიერთობებს შეიძლება ვუწოდოთ ურთიერთობა ამ სიტყვის ფართო გაგებით. ამ ეპოქის „ფიცის წიგნები“ და „წყალობის სიგელები“ ასევე შემთხვევითი ხასიათისა იყო და არც ერთი მხარისათვის რეალურად არაფერი მოუტანია. საქართველო დახმარებას ითხოვდა, რუსეთი ჰპირდებოდა. ეს იყო და ეს. არსებული სამხედრო-პოლიტიკური სიტუაცია, საერთაშორისო მდგომარეობა გამორიცხავდა ქართული სამეფო-სამთავროების დაცვას რუსეთის მხრიდან. ეს კია, რომ რუსეთის დიპლომატიამ უხვად შეაგროვა ცნობები საქართველოს შესახებ. რუსეთ-საქართველოს ურთიერთობა სახელმწიფოთა დონეზე პეტრე პირველისა და ვახტანგ მეექვსის ურთიერთობით იწყება. რუსეთი და ქართლის სამეფო მოკავშირეები გახდნენ ირანის წინააღმდეგ. რუსეთ-საქართველოს დაახლოების მიზნით გადადგმული პირველი სერიოზული ნაბიჯი უიღბლო

დასასრული მე - 8 გვ.

გაერთიანებულ რესპუბლიკურ პარტიაში

ხვალ გვექნება კანონი.

14 თებერვალს ქ. გორში [illegible]ებოდნენ გაერთიანებული რეს[illegible]ური პარტიის პოლიტიკური [illegible]ის წევრები შოთა ნადირაშვილი — აკადემიკოსი, გაერთიანებული რესპუბლიკური პარტიის განათლებისა და მეცნიერების კომისიის თავმჯდომარე; ბესარიონ ფაჩუაშვილი — პარლამენტის მეცნიერებისა და განათლების კომისიის თავმჯდომარის მოადგილე, მერაბ ქათამაძე — პრესსამსახურის ხელმძღვანელი.

გაერთიანებული რესპუბლიკური პარტიის გორის რეგიონული ორგანიზაციის საბჭოს თავმჯდომარემ ისაუბრა ორგანიზაციის მიერ გაწეული მუშაობის შესახებ, დასვა რამოდენიმე პრობლემური საკითხი; პოლიტსაბჭოს წევრებმა აღნიშნეს,რომ პოლიტიკურმა საბჭომ მოიწონა გორელთა ინიციატივა რეგიონებში თემატური, დარგობრივი ხასიათის შეხვედრების გამართვის თაობაზე; ხაზი გაესვა გორის ორგანიზაციის ნაყოფიერ მუშაობას, ისაუბრეს შიდაპარტიულ საკითხებზე;

შემდეგ შეხვედრა გაიმართა გორის ეკონომიკური ინსტიტუტის სხდომათა დარბაზში, სადაც შეიკრიბნენ გორის სამეცნიერო და საგანმანათლებლო საზოგადოების, გორის გამგეობის, სხვადასხვა პოლიტიკური და საზოგადოებრივი ორგანიზაციების წარმომადგენლები.

პარლამენტის განათლებისა და მეცნიერების კომისიის თავ-რის მოადგილემ ბესარიონ ფაჩუაშვილმა მოკლედ მიმოიხილა ქვეყანაში შექმნილი მძიმე ვითარება, რომელიც თავის დაღს ასვამს რესპუბლიკის განათლების სისტემას. არ არსებობს განათლების განვითარების ოფიციალურ-სახელმწიფო დოქტრინა, მიზერულია დაფინანსება, პროფესორ-მასწავლებლები უკიდურესად მძიმე სოციალურ მდგომარეობაში იმყოფებიან, მწირია მატერიალური ბაზა, ,ისაუბრა ამ პრობლემათა გადაჭრის გზების ძიების შესახებ. ბ-ნი ბესარიონ ფაჩუაშვილის აზრით ამ შეხვედრის მიზანია განათლების შესახებ უკვე თითქმის მზა კონდიციამდე მიყვანილ კანონპროექტში მოცემულ პრინციპთა და მიდგომათა ფართო პედაგოგიური საზოგადოებრიობისათვის გაცნობა და საზოგადოების მხრიდან წამოყენებულ მოთხოვნათა მოსმენა, მათი მაქსიმალურად შესაძლებელი გათვალისწინება კანონპროექტის საბოლოო რედაქციაში. კერძოდ, აღნიშნული კანონ-პროექტი წარმოადგენს 1993 წლის ზაფხულში იმყამინდელი ფრაქცია „რესპუბლიკელების“ და ავტორთა ჯგუფის მიერ წარმოდგენილი კანონპროექტების შეჯერებულ ვარიანტს, რომელიც ითვალისწინებს ფრაქცია „რესპუბლიკელების“ კანონპროექტის 85—90%-ს.

შემუშავებული კანონ-პროექტის თანახმად: არ იკრძალება არცერთი, დღეს მოქმედ სუბიექტთა და ურთიერთობის ფორმათგანი; მოცემულია სიტუაცია, რომელიც უნდა დაფუძნდეს დამოუკიდებელ, ეროვნულ, სამართლებრივ სახელმწიფოს განათლების სფეროში; ჩადებულია მექანიზმები არსებულიდან უკეთესობისაკენ სვლისათვის.

კანონ-პროექტის ძირითადი პრინციპებია:

ა) განათლების პრიორიტეტულობა, მისი დამოკიდებულება ქვეყნის მომავალთან;

ბ) საყოველთაო-სავალდებულო საბაზო ზოგადი განათლება და კონკურსის საფუძველზე ყველა მომდევნო საფეხურის განათლების მიღების შესაძლებლობა სახელმწიფოს სარჯზე;

გ) ზოგადსაგანმანათლებლო და პროფესიული სწავლების დაბალანსება;

დ) განათლების სფეროში მოქმედ სახელმწიფო და არასახელმწიფო სუბიექტთა თანასწორუფლებიანობა;

ე) საგანმანათლებლო დაწესებულებათა სამართლებლივ-ეკონომიკური თავისუფლება კანონმდებლობის ფარგლებში;

ვ) ადგილობრივი მმართველობის ორგანოებისათვის განათლების სისტემის განვითარებისაკენ მიმართულ ღონისძიებათა შეჭუშავებისა და განხორციელების მექანიზმების შექმნა;

ზ) საგანმანათლებლო დაწესებულებათა სამართლებლივ-ეკონომიკური თავისუფლება კანონმდებლობის ფარგლებში;

ჱ) ადგილობრივი მმართველობის ორგანოებისათვის განათლების სისტემის განვითარებისაკენ მიმართულ ღონისძიებათა შეჭუშავებისა და განხორციელების მექანიზმების შექმნა;

ვცადოთ და თუ გაამართლებს მხოლოდ შემდეგ დავნერგოთ საყოველთაოდ. ქვეყნდება ათასნაირი კონცეფცია მეცნიერებისა და განათლების შესახებ. თუ ქვეყანაში არ იქნება წესრიგი, ვერავითარი კონცეფცია ცხოვრებაში ვერ გატარდება. რას ხედავს დღეს ჩვენი ახალგაზრდა? აღვირახსნილობას, უწესრიგობას, დანაშაულს... რა კაცი გამოვა მისგან?

ბის განყოფილების მეთოდ-კაბინეტის გამგე: „როგორც პარლამენტარს, ბ-ნი ბესარიონ, გთხოვთ გულთან მიიტანოთ ჩვენი გულისწყრომა და სამართლიანი შენიშვნები. 7 თებერვალს ცხინვალის რეგიონში, ხეობაში ვიყავი. წამოიჭრა საკითხი სასწავლებლების, ინსტიტუტების პერსონალის 30%-ით შემცირების შესახებ მინისტრთა კაბინეტის დადგენილების შესაბამისად. განა შეიძლება იქ ვთქვათ ხეობაში, შემცირდეს შტატები 30%-ით. ისედაც დავაა, ვინ იყოს მასწავლებელი, დარაჯი, ყარა-

მაგრამ აღარ გვეყოლება მასწავლებელი

მომხსენებელმა ხაზგასმით აღნიშნა, რომ არ არსებობს განათლების კონცეფცია. განათლების სამინისტროს ჯერ კიდევ არ შეუმუშავებია საკუთარი საბოლოო და ავტორიტეტული პროექტი და რესპუბლიკაში, რამოდენიმე რეგიონში მიმდინარე საგანმანათლებლო ექსპერიმენტი ჯერ-ოვანი თეორიული და ნორმატიული ბაზისის გარეშეა დარჩენილი.

ფსიქოლოგიის ინსტიტუტის დირექტორმა, აკადემიკოსმა შოთა ნადირაშვილმა გამოსვლა მაგალითების მოშველიებით დაიწყო და დაასკვნა:. საქართველო დიდი ხნის მანძილზე არ წარმოადგენდა ქვეყანას, დაიკარგა დამოუკიდებელი აზროვნების, ქმედების ჩვევები. დღეს ფორმალურად საქართველო ქვეყანაა, მაგრამ ჩვენ არ ვიცით როგორ ვიმოქმედოთ. ანალოგიური მდგომარეობაა განათლების სფეროშიც. ჩვენ უნდა შევიმუშავოთ ისეთი სკოლის მოდელი, რომელიც გადაწყვეტს შემდეგ ამოცანებს: მოსწავლეებს მისცემს ცოდნას, განუვითარებს აზროვნების უნარს და ჩამოაყალიბებს პიროვნებად. სკოლა ამ ამოცანას დღესდღეობით თავს ვერ ართმევს. განათლების შესახებ კანონის მისაღებად საჭიროა მუდმივი, მეთოდური მუშაობა და ჩვენი შეხვედრის ერთ-ერთი მიზანი ესეცაა.

ბ-ნი შოთა ნადირაშვილი თავის უაღრესად საინტერესო და მეცნიერულად დასაბუთებულ მოხსენებაში შეეხო ერის დაქაქუსლობისა და დაპირისპირების პრობლემებს და აღნიშნა,რომ დღეს ჩვენში ინტერნაციონალიზმის საფარით ხდება ერის, ეროვნების საკითხის იგნორირება. არადა, ამ საკითხის გარკვევის გარეშე ვერც ერის გათიშულობასა და ვერც ეროვნებათაშორისი პრობლემები ვერ დაიძლევა. შემდეგ საუბარი შეეხო ხელისუფლების საკითხს. ბ-ნი შოთას აზრით, საზოგადოებაში მკვიდრდება აზრი,რომ პარლამენტი ცუდია. თუ არ მოგვწონს პარლამენტი, ჩვენვე ვართ დამნაშავენი, განა პარლამენტი ჩვენ არ ავირჩიეთ? ჩვენ ვისწავლით უკეთეს არჩევას და ჩვენი ბედნიერებაა, პარლამენტი რომ გვაქვს. ეს ნიშნავს,რომ ჩვენ სახელმწიფოს ვაშენებთ. გაერთიანებულ რესპუბლიკურ პარტიას სურს ქვეყანა იყოს ეროვნული, დამოუკიდებელი. თუ ჩვენ თვითონ არ მოვინდომეთ, სხვა ამას ჩვენს მაგივრად არ გააკეთებს.

შემდეგ დაიწყო კამათი.

ბ-ნი თემურ მენაბდიშვილი— ფილოსოფიის კათედრის გამგე, ფილოსოფიის მეცნიერებათა დოქტორი: „კარგი იქნებოდა ჩვენ წინასწარ გვქონოდა კანონ-პროექტი, მაშინ უფრო რეალური და კონკრეტული იქნებოდა განხილვა. რა არის სკოლის ამოცანა: აღზარდოს მოქალაქე თუ სპეციალისტი? ჩანს თუ არა ეს კანონ-პროექტში? ვის უნდა ჰქონდეს უფლება დიპლომის გაცემისა და როგორია კრიტერიუმები? ალბათ, არ უნდა ჰქონდეს მნიშვნელობა, სასწავლებელი სახელმწიფოა თუ კერძო“.

ბ-ნი შოთა არსენიძე — პედაგოგიურ მეცნიერებათა კანდიდატი, დოცენტი: „საყოველთაო პროფილური სკოლის ჩემეული შეფასება ასეთია: ჯერ ექსპერიმენტის სახით უნდა შეიძლება პროფესორს ასეთი ხელფასი ჰქონდეს? ძალიან გთხოვთ, ნუ გვაიძულებთ ჩვენ, ინტელიგენციას ბორიტების წუმპეში ჩავეფლათ. ეს ეწინააღმდეგება ჩვენ მორალს. სახელმწიფოს ყველაზე სათუთი ორგანიზმი — ბავშვები, სკოლა, მასწავლებელი როცა ასეთ მდგომარეობაშია, რა უნდა ვიფიქროთ ჩვენ? აუცილებელია განათლების კონცეფცია, გამოაქვეყნეთ პროექტი, გაითვალისწინეთ შენიშვნები და ინტელიგენცია მხარს დაგიჭერთ, თუნდაც თქვენ, რესპუბლიკელებს. ჩვენ არა გვაქვს იდეოლოგია. ჩემი აზრით, სახელმწიფოს პოლიტიკის გამტარებელია სკოლა. ვინ გვიშლის რომ ვთქვათ, ჩვენი იდეოლოგია ეროვნულ-განმათავისუფლებელია... გვჭირდება ეროვნული კადრები, სახელმძღვანელები. ნუთუ სახელმწიფოს იმდენი არ შეუძლია, პირველკლასელები „დედა ენით“ მოამზადოს. კონცეფციის მიღებამდე უნდა გაირკვეს იდეოლოგიის საკითხი და ამ მხრივ ჩვენ კომუნისტებისგან უნდა ვისწავლოთ“.

შოთა ნადირაშვილი: „შევთანხმდეთ, ჩვენ გვჭირდება იდეოლოგია, მაგრამ სხვა, არაკომუნისტური“...

აზორ კაპანაძე — დამოუკიდებელი პედაგოგიური ინსტიტუტის რექტორი,ისტორიის მეცნიერებათა კანდიდატი, დოცენტი: „ერთხელ ბრეჟნევმა შუა აზიაში განაცხადა, არ გვჭირდება ამდენი პედაგოგიური ინსტიტუტებიო და ჩვენმა ცკ-მა დახურა თელავისა და გორის პედაგოგიური ინსტიტუტები. ვეთანხმები ბ-ნ ბესარიონ ფაჩუაშვილს, სახელმწიფო და კერძო ინსტიტუტები თანაბარ უფლებებში უნდა იყოს. არადა,ისე გვბეგრავენ, პედაგოგებს ხელფასს ვერ ვაძლევთ... ამბობენ, ბევრი სასწავლებელი გაიხსნაო ამ ბოლო დროს. შვეიცარიაში 400 ინსტიტუტი და 20 უნივერსიტეტია, ასე რომ, ეს საშიში არაა. შეიქმნა სატესტაციო-საკრედიტაციო კომისია, სადაც არცერთი კერძო სასწავლებლის რექტორი არაა შეყვანილი. ამ კომისიის წევრი ბ-ნი როინ მეტრეველი აცხადებს, კერძო სასწავლებლები უნდა დაისუროსო. ამ კაცზე ცუდს ვერაფერს ვიტყვი, მაგრამ მას მგონი ისევ ცკ-ში ჰგონია თავი. გთხოვთ ყურადღება მიაქციოთ სპეციალისტებს. კახა ქორიძე, განათლების მინისტრის მოადგილე, არაა სპეციალისტი“.

ავთანდილ ჩხეიძე — გორის განათლების განყოფილების გამგის მოადგილე: „რესპუბლიკელების“ კანონ-პროექტი გამოქვეყნდა პრესაში და მისი გაცნობა ყველას შეეძლო. მე ამ კანონ-პროექტში ვერ დავინახე ჩვენი ტრადიცია, გამოცდილება. სწავლის მიზანი სულის აღზრდაა. ითვალისწინებს ამას კონცეფცია? ვერც ქუთაისი, ვერც ფოთი წიწილებს შემოდგომაზე ვერ დაითვლიან. უმთავრესია ზოგადი განათლება. კახა ქორიძის ექსპერიმენტი კი მოლიპულ გზაზე გვაყენებს“.

თინა კალანდაძე — განათლების განყოფილების მეთოდ-კაბინეტის გამგე: „როგორც პარლამენტარს, ბ-ნო ბესარიონ, გთხოვთ გულთან მიიტანოთ ჩვენი გულისწყრომა და სამართლიანი შენიშვნები. 7 თებერვალს ცხინვალის რეგიონში, ხეობაში ვიყავი. წამოიჭრა საკითხი სასწავლებლების, ინსტიტუტების პერსონალის 30%-ით შემცირების შესახებ მინისტრთა კაბინეტის დადგენილების შესაბამისად. განა შეიძლება იქ ვთქვათ ხეობაში, შემცირდეს შტატები 30%-ით. ისედაც დავაა, ვინ იყოს მასწავლებელი, დარაჯი, ყარა-

ინფორმაცია...

• მიმდინარეობს გაერთიანებული რესპუბლიკური პარტიის რეგიონული ორგანიზაციების გამაერთიანებელი კრებები. რეგიონული ორგანიზაციების საბჭოს თავმჯდომარეებად არჩეულნი არიან: მალხაზ დვალიშვილი (ქუთაისი),შერაბ მეტრეველი (თელავი), რევაზ ოქრეაშვილი (გორი), ბადრი მეფარიშვილი (რუსთავი), გია უგულავა (ზონი), ალექსი თამაზაშვილი (ლეღოფლის-წყარო), როინ თაქთაქიძე (ახალციხე), ფრიდონ პაპუნაშვილი (ადიგენი), სოსო თეთვაძე (ახალქალაქი), ნუგზარ ხიდაშელი (მთაწმინდა),რაულ ლაგვილავა (სბურთალო),ვასილ შარაბიძე (ისანი), ვახტანგ გოგიჩაშვილი (დიდუბე), წუკრი ნავროზაშვილი (გლდანი).

გაერთიანებული რესპუბლიკური პარტიის პრეს-სამსახური

• ამ დღეებში ქ. გურჯაანსა და გარდაბნის რაიონის სოფელ მარტყოფში გაიმართა გაერთიანებული რესპუბლიკური პარტიის გურჯაანისა და გარდაბნის რაიონების რეგიონალური ორგანიზაციების დამფუძნებელი კრებები.

15 თებერვალს ქ. გურჯაანში გურჯაანის რაიონის რეგიონალური ორგანიზაციის დამფუძნებელ კრებას ესწრებოდნენ პარტიის პოლიტსაბჭოსა და საქართველოს რესპუბლიკის პარლამენტის წევრი ვახტანგ ძაბირაძე და პოლიტსაბჭოს წევრი ოთარ ზოიძე. რეგიონალური ორგანიზაციის დაფუძნების შემდეგ აირჩიეს ორგანიზაციის საბჭო 5 კაცის შემადგენლობით. საბჭოს თავმჯდომარედ არჩეულია გურამ ჯავახიშვილი.

კრებაზე გაიმართა ვრცელი საუბარი ქვეყანაში არსებული სოციალურ-პოლიტიკური მდგომარეობის შესახებ. სოციალური საკითხთაგან გურჯაანელმა რესპუბლიკელებმა განსაკუთრებული ყურადღება გამახვილეს გლეხების საკვებით შომარაგებაზე. ითქვა, რომ თუკი ხელისუფლება რამენაირი ფორმით ვერ დეხმარება გლეხებს ამ პრობლემის მოგვარებაში, მოუხნავ-დაუთესავი დარჩება მიწის დიდი ნაწილი, რაც ისედაც მძიმე მდგომარეობას კიდევ უფრო დაამძიმებს.

16 თებერვალს კი სოფელ მარტყოფში დაფუძნდა გაერთიანებული რესპუბლიკური პარტიის გარდაბნის რაიონის რეგიონალური ორგანიზაცია, სადაც აირჩიეს საბჭო 7 კაცის შემადგენლობით (საბჭოს თავმჯდომარე — დავით სტეფანიშვილი, მოადგილე — დავით ბენდიანიშვილი). კრებას ესწრებოდნენ გაერთიანებული რესპუბლიკური პარტიის პოლიტსაბჭოს წევრები— დავით ბერძენიშვილი, გოჩა გავაშელი და ოთარ ზოიძე, პარტიის აპარატის თანამშრომელი ტრისტან ბერიანიძე და გაზეთ „საქართველოს“ მთ. რედაქტორის მოადგილე მიხეილ მახარაძე. კრებაზე სიტყვებით გამოვიდნენ გ. გავაშელი და დ. ბერძენიშვილი.

პარლამენტარი დ. ბერძენიშვილი თავის ვრცელ სიტყვაში შეეხო პოლიტიკურ ვითარებას საქართველოში, ახალი კონსტიტუციისა და მომავალ არჩევნებთან დაკავშირებულ საკითხებს. დ. ბერძენიშვილის გამოსვლაში დამსწრეთა დიდი ინტერესი გამოიწვია მისმა პოზიციამ ქვეყნის მომავალ სახელმწიფო მოწყობაზე, სადაც ერთ-ერთი მთავარი საკითხი იყო დეცენტრალიზებული უნიტარიზმის ფარგლებში რეგიონალური მოწყობის პერსპექტივები და მისი უპირატესობანი.

კრების მონაწილეთა შეკითხვები ძირითადად პოლიტიკური ხასიათისა იყო. როგორც შეკითხვებიდან, ისე გამოსვლებიდან ცხადად იგრძნობოდა, რომ აქური მოსახლეობა მომავალ არჩევნებზე დიდ იმედებს ამყარებს. ამასთან, კრების მონაწილეებმა აღნიშნეს,რომ ყველაფერს იღონებენ არჩევნების ნორმალურად ჩასატარებლად და არჩევნებში გაერთიანებული რესპუბლიკური პარტიის მხარდასაჭერად.

გაერთიანებული რესპუბლიკური პარტიის პრეს-სამსახური

გაერთიანებული რესპუბლიკური პარტიის კონცეფცია

საქართველოს სახელმწიფო წყობილების, (ადმინისტრაციულ-ტერიტორიული მოწყობის) შესახებ

საქართველოს დამოუკიდებელი სახელმწიფოებრიობის არსებობას სამართლებრივი სახელმწიფოს ფორმით ალტერნატივა არა აქვს. სამართლებრივი სახელმწიფოს შექმნის ერთ-ერთი აუცილებელი პირობა და საფუძველი ხელისუფლების ფუნქციონალურ დანაწილებასთან (საკანონმდებლო, აღმასრულებელი და სასამართლო ხელისუფლება) ერთად არის ხელისუფლების ტერიტორიული დანაწილება (ორგანიზაცია). ხელისუფლების ტერიტორიული ორგანიზაციის საკითხი — ეს არის სახელმწიფო წყობილების ფორმის საკითხი და იგი მოიცავს ორ საკითხს: 1. სახელმწიფოს ტერიტორიული ორგანიზაცია (ტერიტორიულ ერთეულებად დაყოფა); 2. ხელისუფლების ორგანიზაცია (ხელისუფლების სხვადასხვა დონის ორგანოთა შორის ურთიერთმიმართება).

სახელმწიფო წყობილების ფორმის სწორად შერჩევაზე მნიშვნელოვანწილადაა დამოკიდებული არამარტო ქართული სახელმწიფოებრიობის სიძლიერე, არამედ თვით არსებობაც კი. ამდენად, აღნიშნული საკითხი კონსტიტუციური რეგულირების უმნიშვნელოვანეს ობიექტთა რიცხვს განეკუთვნება და მისი გადაწყვეტისას აუცილებლად უნდა გავითვალისწინოთ აღნიშნული გარემოება.

სახელმწიფო წყობილების ორივე ფორმა — ფედერალიზმი და უნიტარიზმი — აპრობირებულია და წარმატებით ფუნქციონირებს უცხოეთის მაღალგანვითარებულ ქვეყნებში. ფედერაციული სახელმწიფოებია აშშ, გერმანია, კანადა, ავსტრალია; უნიტარული ქვეყნებია: იტალია, ესპანეთი, საფრანგეთი, დანია, იაპონია, ფინეთი... ასე რომ, აბსტრაგირების ფორმით უნიტარიზმისა და ფედერალიზმის ურთიერთშედარება უმჯობესი კუთხით მეთოდოლოგიურად მცდარი ნაბიჯია. ამა თუ იმ ქვეყანაში არსებული მოცემულობებისაგან დამოუკიდებლად შემუშავებული თეორიულ-იდეალური ფედერალიზმიც კარგია და უნიტარიზმიც. მაგრამ კონკრეტულ პირობებში თეორიული მოდელის რეალიზაციისას შესაძლოა ფედერალიზმმა ვერ გაამართლოს და იმუშაოს უნიტარულმა მოდელმა, ანდა — პირიქით. ამდენად, არჩევანი ფედერალიზმსა და უნიტარიზმს შორის უნდა განისაზღვროს საქართველოში არსებული კონკრეტული პირობებისა (ისტორიული, პოლიტიკური, სოციალური, ეკონომიკური, დემოგრაფიული და სხვა ფაქტორების) და ჩვენი სახელმწიფოს წინაშე მდგარი ამოცანების გათვალისწინებით (რა თქმა უნდა, უცხოეთის მაღალგანვითარებულ ქვეყნებში არსებული მოდელების საქართველოში მექანიკურ გადმოღებაზე უარისთქმა არ ნიშნავს უცხოეთის გამოცდილების გაუთვალისწინებლობას).

საქართველო დამოუკიდებელი სახელმწიფოებრიობის აღდგენის საწყის ეტაპზე იმყოფება. შექმნილი მდგომარეობის გამო დღევანდელ ეტაპზე და უახლოეს ათწლეულში ჩვენი უპირველესი ამოცანა იქნება სახელმწიფოს ტერიტორიული მთლიანობის აღდგენა-შენარჩუნება და განმტკიცება, ეროვნული ურთიერთობის უზრუნველყოფა, ერთიანი შიდასახელმწიფოებრივი ბაზრის ჩამოყალიბება და სხვა ამ რიგის საკითხების გადაწყვეტა. არჩევანი ფედერალიზმსა და უნიტარიზმს შორის სწორედ იმის მიხედვით უნდა გაკეთდეს, თუ რომელი მათგანი ქმნის ეფექტურ მექანიზმებს ქართული სახელმწიფოებრიობის წინაშე მდგარი პრობლემების გადასაწყვეტად. ამ თვალსაზრისით ფედერალიზმი ვერავითარ კრიტიკას ვერ უძლებს. მისი დამახასიათებელი ნიშნების არსებობა — დაყოფილი სუვერენიტეტი, ერთიანი ტერიტორიის არსებობა, ფედერაციის სუბიექტებში დამფუძნებელი ხელისუფლება, ორმაგი მოქალაქეობა, ფედერაციის სუბიექტების საკუთარი სამართლებრივი და სასამართლო სისტემა— ქმნის თეორიულ და პრაქტიკულ წანამძღვრებს საქართველოს დეზინტეგრაციისა და ქართული სახელმწიფოებრიობის კრახისათვის. ამდენად, სახელმწიფოებრივი ინტერესებიდან გამომდინარე, ფედერალიზმი უარყოფილ უნდა იქნას. საქართველოს სახელმწიფო წყობილების ერთადერთ მისაღებ ფორმად რჩება უნიტარიზმი, რომლის ორი სახე არსებობს: ცენტრალიზებული და დეცენტრალიზებული. არჩევანიც სწორედ მათ შორის უნდა გაკეთდეს.

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, სახელმწიფო წყობილების ფორმის საკითხი მოიცავს ორ საკითხს: 1. სახელმწიფოს ტერიტორიული ორგანიზაცია (ტერიტორიულ ერთეულებად დაყოფა); 2. ხელისუფლების ორგანიზაცია (ხელისუფლების სხვადასხვა დონის ორგანოთა შორის ურთიერთმიმართება).

სწორედ ამ თანმიმდევრობით ვიმსჯელებთ ქვემოთ. სახელმწიფოს ტერიტორიული ორგანიზაციის საკითხის განხილვამდე კი საჭიროდ მიგვაჩნია აღვნიშნოთ ერთი გარემოება: სახელმწიფოს დაყოფა ტერიტორიულ ერთეულებად არ არის დამოკიდებული ხელისუფლების სხვადასხვა დონის ორგანოთა შორის ურთიერთმიმართების სახეობაზე, ე.ი. იმაზე, თუ უნიტარიზმის რომელი მოდელი იქნება მიღებული — ცენტრალიზებული თუ დეცენტრალიზებული. ნებისმიერ შემთხვევაში ცენტრალიზებული და დეცენტრალიზებული მმართველობის ობიექტი შეიძლება იყოს როგორც შედარებით მცირე ტერიტორიული ერთეული (როგორც მოსახლეობით, ისე ტერიტორიით), ისე შედარებით დიდი რეგიონი (ასე რომ, პოპულარიზებული „სამხარეო დაყოფა“ ვერ მოიცავს სახელმწიფო წყობილების ფორმის ყველა კომპონენტს და ამგვარი დაყოფის მომხრეობა თუ მოწინააღმდეგეობა ვერ გამოხატავს სახელმწიფო წყობილების ამა თუ იმ ფორმისადმი დამოკიდებულებას).

სახელმწიფოს ტერიტორიული ორგანიზაციის საკითხის გადაწყვეტისას გასათვალისწინებელია რამდენიმე მნიშვნელოვანი ფაქტორი. უპირველესად უნდა აღვნიშნოთ, რომ სახელმწიფოს ტერიტორიის მეტისმეტი დაწვრილერთეულება მმართველობის ეფექტურობას კი არ ზრდის, პირიქით, აძცირებს; ამავე დროს, ტერიტორიული ერთეულის მოცულობა არ უნდა იყოს იმდენად დიდი, რომ მმართველობის ოპტიმალურობის ხარისხი შემცირდეს. გარდა ამისა, ტერიტორიულ ერთეულზე უნდა ცხოვრობდეს მოსახლეობის ისეთი რაოდენობა, რომელიც აუცილებელია ამ ერთეულის სრულყოფილი ფუნქციონირებისათვის, ამ ერთეულისათვის მინიჭებული უფლებამოსილების სრულყოფილი გამოყენებისათვის; საჭიროა აგრეთვე ტერიტორიის ისეთი მოცულობა,რომელიც აუცილებელია სახელმწიფოს ერთიან ეკონომიკურ ორგანიზმში მჭიდროდ ინტეგრირებული რეგიონული ეკონომიკური ინფრასტრუქტურის შექმნისა და ფუნქციონირებისათვის. გასათვალისწინებელია აგრეთვე გეოგრაფიული, დემოგრაფიული და პოლიტიკური ხასიათის სხვა ფაქტორები.

დღეს არსებული ტერიტორიული დაყოფით საქართველოს ტერიტორია ძლიერ დაწვრილერთეულებულია; რა თქმა უნდა 70 ათასი კვ.კმ. ფართობის მქონე 5 მილიონიანი სახელმწიფოს დაყოფა 80-ზე მეტ ადმინისტრაციულ-ტერიტორიულ ერთეულად მეტისმეტი დაქუცმაცებულობაა. თბილისის, აფხაზეთისა და აჭარის რაიონებს თუ არ მივიღებთ მხედველობაში, სხვა რაიონების კლასიფიკაცია მოსახლეობის რაოდენობის მიხედვით შემდეგ სურათს იძლევა: 10 რაიონში 20 ათასამდე მცხოვრებია, 15 რაიონში — 20-დან 40 ათასამდე, 28 რაიონში — 40-დან 80 ათასამდე, ხოლო ორ რაიონში — 100 ათასზე მეტი (მარნეული, გარდაბანი).

არცერთი რაიონი სრულად არ მოიცავს რომელიმე ეკონომიკურ-გეოგრაფიულ რაიონს. საქართველოს ეკონომიკურ-გეოგრაფიული რაიონების სახღვრები ძირითადად ემთხვევა ისტორიული პროვინციების ფარგლებს; კერძოდ არსებობს შემდეგი ეკონომიკურ-გეოგრაფიული რაიონები: აჭარა, აფხაზეთი, აღმოსავლეთი (კახეთი), სამხრეთი (მესხეთ-ჯავახეთი, ისტორიული მესხეთის ერთი პროვინციის — თორის— ბორჯომის რაიონის — გამოკლებით), აღმოსავლეთ-ცენტრალური (თბილისი, ქართლი, ქვემო ქართლი); დასავლეთ ცენტრალური (ქუთაისი, იმერეთი, რაჭა-ლეჩხუმი, ქვემო სვანეთი); დასავლეთი (სამეგრელო, გურია, ზემო სვანეთი).

ეკონომიკურ-გეოგრაფიული რაიონებისა და ისტორიული პროვინციების ფარგლების ძირითადად დამთხვევა შემთხვევითი არაა. ისტორიული რეგიონები ფიზიკურ-გეოგრაფიული მონაცემებით, სახღვრებით, ეკონომიკის ინფრასტრუქტურით ბუნებრივი ეკონომიკურ-ტერიტორიული ერთეულებია. არც ისაა შემთხვევითი, რომ დღეს არსებული არცერთი რაიონის ტერიტორია ორი ისტორიული პროვინციის ტერიტორიაზე არაა განფენილი.

ამდენად, სახელმწიფოს ოპტიმალური ტერიტორიული ორგანიზაციისა და ეფექტური მმართველობითი მექანიზმების შესაქმნელად აუცილებლად უნდა გავითვალისწინოთ ისტორიული, ეკონომიკურ-გეოგრაფიული ტერიტორიული ერთეულების არსებობა.

ყოველივე ზემოთქმულიდან გამომდინარე კი აუცილებლად მიგვაჩნია რაიონების გამსხვილება; ამავე დროს აღვნიშნავთ,რომ აუცილებლობას არ წარმოადგენს რაიონები გამსხვილდეს ისტორიული პროვინციების ან, მითუმეტეს, ეკონომიკურ-გეოგრაფიული რაიონების ფარგლებამდე. ამ შემთხვევაში ტერიტორიული ერთეულის მოცულობა იმდენად გაიზრდება,რომ მისი მართვა (მითუმეტეს დაბალგანვითარებული საკომუნიკაციო ქსელის არსებობის პირობებში) ურიად გაძნელდება. ახალი ტერიტორიული ერთეულის სიდიდის განსაზღვრისას უნდა ვიხელმძღვანელოთ გონივრული საკმარისობის პრინციპის შესაბამისად.

რაკი ახალი, გამსხვილებული ტერიტორიული ერთეულების შექმნის საფუძველი იქნება არა ქართველი ერის ეთნიკური სტრუქტურა და ახალი რეგიონების ფარგლები ხშირ შემთხვევაში ვერ მოიცავს ამა თუ იმ ისტორიულ პროვინციას მთლიანად, ამდენად, გამსხვილებულმა ტერიტორიულმა ერთეულებმა სახელწოდება უნდა მიიღონ მათი ადმინისტრაციული ცენტრების და არა ისტორიული პროვინციების მიხედვით (მაგ: ზუგდიდის რეგიონი, სიღნაღის რეგიონი და ა.შ.).

რაც შეეხება ტერიტორიული ერთეულის აღმნიშვნელ ზოგად ტერმინს. გამსხვილებული ტერიტორიული ერთეულის შესაძლო სახელწოდებათაგან — მხარე, ოლქი, პროვინცია, მაზრა, რეგიონი, მიწა... — ყველაზე უფრო მიზანშეწონილად მიგვაჩნია ტერმინი „რეგიონი“ (საფრანგეთში უმაღლეს ადმინისტრაციულ-ტერიტორიულ ერთეულს „რეგიონი“ ჰქვია). „რაიონსა“ და „რეგიონს“ ერთი საერთო ძირი აქვთ: შესაბამისად, დღევანდელი რაიონების გამსხვილების კვალდაკვალ „რაიონის“ „რეგიონად“ ქცევა ფსიქოლოგიურადაც იოლი მისაღები იქნება და ეროვნულ-პოლიტიკური თვალსაზრისით ცნობიერებაში არასასურველი ცვლილებების შესაძლებლობა მინიმუმამდე იქნება დაყვანილი. რეგიონის კონკრეტულ სახელწოდებად რეგიონის ადმინისტრაციული ცენტრის სახელწოდების მიკუთვნებამაც ამ გარემოებაზე დადებითად უნდა იმოქმედოს.

გადასინჯვას საჭიროებს ტერიტორიული დაყოფის ქვედა რგოლიც. მხედველობაში გვაქვს საკრებულოების დონე. არსებული მდგომარეობის შენარჩუნების შემთხვევაში მოსახლეობის რესურსების, ეკონომიკური პოტენციალის სიმცირის გამო საკრებულოები თავს ვერ გაართმევენ მათ წინაშე არსებული პრობლემების გადაჭრას. დღეს საკრებულოების ტერიტორიებზე მცხოვრებთა საშუალო რაოდენობა უმეტესწილად 2-3 ათასი კაცია, ნაკლებადაა 4 ათასიანი საკრებულოები, ხოლო საკრებულოები, სადაც 6 ათასამდე კაცი ცხოვრობს, უმცირესობაა. რაიონები უკიდურესად დაქუცმაცებულია, მაგ: ოზურგეთის 85 ათასიანი რაიონი დანაწევრებულია 28 საკრებულოდ, ზესტაფონის 75 ათასიანი რაიონი— 16 საკრებულოდ, ადიგენის 20 ათასიანი რაიონი— 11 საკრებულოდ. ასეთ პირობებში მმართველობის ეფექტურობის მიღწევა გამორიცხულია. ასე რომ, ტერიტორიული ერთეულების გამსხვილების პროცესი უნდა მეცეოს ტერიტორიული დაყოფის ქვედა რგოლსაც.

ამრიგად, ერთიანი და განუყოფელი საქართველოს სახელმწიფოს ტერიტორიული ორგანიზაცია მიიღებს შემდეგ სახეს: სახელმწიფო — გამსხვილებული რაიონი (რეგიონი) — გამსხვილებული საკრებულო (თემი). ტერიტორიული ორგანიზაციის შესაბამისად მოხდება ხელისუფლების ტერიტორიული ორგანიზაციაც — სახელმწიფო ხელისუფლება (ცენტრალური ხელისუფლება) — რეგიონული ხელისუფლება — სათემო ხელისუფლება. ხელისუფლების ამ რგოლებს შორის ურთიერთმიმართების ხასიათი განისაზღვრება იმით, თუ რომელი . პრინციპი დადებს საფუძვლად ხელისუფლების ტერიტორიულ ორგანიზაციას — ცენტრალიზმი თუ დეცენტრალიზმი. 1921 წლის კონსტიტუცია ადგილობრივი მმართველობის პრინციპად დეცენტრალიზმს აღიარებდა (მე-10 თავი); მე-100 მუხლი ადგენდა: „ადგილობრივ თვითმმართველობას უფლება აქვს გამოსცეს სავალდებულო დადგენილება თანახმად კანონისა“. თვითმმართველობის აქტების გაუქმება დაშვებული იყო მხოლოდ სასამართლო წესით (102-ე მუხლი). თვითმმართველობის ორგანოები არჩევნების გზით ყალიბდებოდა;

ჩვენ ვალდებულნი ვართ შეინარჩუნოთ ადგილობრივი მმართველობის აგების 1921 წლის კონსტიტუციით დადგენილი პრინციპი — დეცენტრალიზმი. სახელმწიფოს წინაშე მდგარი ამოცანების ეფექტური გადაწყვეტა მხოლოდ თვითმმართველობის საწყისების შექმნითა და განვითარებითაა შესაძლებელი. ადგილობრივი თვითმმართველობის ევროპის ქარტიის პრეამბულაში აღნიშნულია: „ადგილობრივი თვითმმართველობის დაცვა და განმტკიცება აუცილებელი პირობაა დემოკრატიისა და ხელისუფლების დეცენტრალიზაციის პრინციპზე დაფუძნებული ევროპის მშენებლობისა“.

ადგილობრივი თვითმმართველობის უფლებამოსილების საგანი შეიძლება იყოს: მუნიციპალური პოლიცია, მუნიციპალური საკუთრება, საყოფაცხოვრებო კომუნალური მომსახურება, მუნიციპალური ტრანსპორტი, სანიტარული სამსახური... თვითმმართველობის უფლება უნდა მიენიჭოს ქალაქებსაც.

რეგიონულ და ცენტრალურ ხელისუფლებას შორის ურთიერთობის ხასიათი უნდა განსაზღვროს იმ კონკრეტულმა, რეალურად არსებულმა ფაქტორებმა, რომელიც ახასიათებს საქართველოს, როგორც მრავალეროვან, არაერთგვაროვან სახელმწიფოს ფიზიკურ-გეოგრაფიული, ეთნოგრაფიული, ისტორიული და სხვა თვალსაზრისით. ამგვარი მრავალეროვნება მოითხოვს დიფერენცირებულ მიდგომას ამა თუ იმ რეგიონში ხელისუფლების განხორციელებისას. უნიფიცირებული მმართველობა, რეგიონული სპეციფიკის გაუთვალისწინებლობა თავის თავში შეიცავს არასაჭირო, მიზანშეუწონელ ძალადობის გარკვეულ ხარისხს, რასაც აუცილებლად მოჰყვება ხელისუფლების გაუცხოება ხალხისაგან; რეგიონული ხელისუფლება, თუკი მას ექნება თვითმმართველობის უფლება, საშუალებას მისცემს ცენტრალურ ხელისუფლებას საერთო სახელმწი-

ფოებრივი პოლიტიკა რეგიონის სპეციფიკის გათვალისწინებით გაატაროს. გარდა ამისა, რეგიონისათვის თვითმმართველობის უფლების მინიჭება ცენტრალურ ხელისუფლებას გათავისუფლებს ბევრი ისეთი ფუნქციისაგან, რომელსაც იგი თავს ვერ ართმევს (და ვერც გაართმევს) საერთო სახელმწიფოებრივი მნიშვნელობის საკითხების სიმრავლის გამო და რომელსაც უკეთ გაართმევს თავს რეგიონული ხელისუფლება. რეგიონული თვითმმართველობის არსებობა აუცილებელი პირობაა საქართველოს რეგიონების სოციალურ-ეკონომიკური და კულტურული განვითარებისათვის. ქვეყნის ინტელექტუალური, ეკონომიკური, კულტურული პოტენციალი თანდათანობით თანაბრად გადანაწილდება ქვეყნის მთელ ტერიტორიაზე (რაც ქვეყნის ძლიერების აუცილებელი პირობაა), მოიხსნება თბილისის ჰიპერტროფული ზრდისა და რეგიონების დაცარიელება-გაპარტახების პრობლემა (რაც, თავის მხრივ, ცენტრალიზებული მმართველობის შედეგიცაა).

ამდენად, ადმინისტრაციული დეცენტრალიზაცია, რაც გულისხმობს რეგიონისა და თემის დონეზე თვითმმართველობის დამკვიდრებას, აუცილებელია მმართველობის ოპტიმიზაციის, ხელისუფლების გონივრული ტერიტორიული ორგანიზაციის, ქვეყნის ძლიერებისა და განვითარებისათვის. ამგვარი თვითმმართველობა არ სცილდება დეცენტრალიზებული უნიტარიზმის აპრობირებულ მოდელს, დეცენტრალიზებული უნიტარიზმი ინარჩუნებს ყოველ იმ ნიშანს, რომელიც ახასიათებს ზოგადად უნიტარიზმს, როგორც სახელმწიფო წყობილების ფორმას: 1. სუვერენიტეტის დაუყოფლობა და ცენტრალური ხელისუფლების უზენაესობა; 2. სახელმწიფო ტერიტორიის განუყოფლობა; 3. ერთიანი მოქალაქეობა; 4. ერთიანი სამართლებრივი ბაზა და სასამართლო სისტემა;

გარდა ამისა, მხოლოდ ცენტრალური ხელისუფლების კომპეტენციას მიეკუთვნება შემდეგი საკითხები:

1) საქართველოს რესპუბლიკის ერთიანი მოქალაქეობის, ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა, მინორიტეტული ჯგუფების უფლებათა, ემიგრაციისა და იმიგრაციის, საქართველოს ტერიტორიაზე სხვა სახელმწიფოების მოქალაქეთა და მოქალაქეობის არმქონეთა დროებითი ან მუდმივად ყოფნის საკანონმდებლო რეგულირება;

2) ერთიანი საარჩევნო სისტემა;

3) სახელმწიფო საზღვრის სტატუსი, რეჟიმი და მისი დაცვა; ტერიტორიული წყლების, საჰაერო სივრცისა და კონტინენტური შელფის სტატუსი და მათი დაცვა;

4) ომისა და ზავის, საგანგებო მდგომარეობის საკითხები; სახელმწიფოს თავდაცვა და უშიშროება; სამხედრო ძალები, სამხედრო მრეწველობა; იარაღით, ტყვია-წამლითა და სამხედრო ტექნიკით ვაჭრობა;

5) საგარეო პოლიტიკა და საერთაშორისო ურთიერთობები;

6) სახელმწიფო ეკონომიკური პოლიტიკის საფუძვლები და კოორდინაცია;

7) საბაჟო და სატარიფო რეჟიმები, საგარეო ვაჭრობა;

8) სახელმწიფო ფინანსები და სახელმწიფო სესხი; საბანკო, საკრედიტო, სადაზღვევო და სოციალური უზრუნველყოფის საფუძვლები;

9) ერთიანი ენერგეტიკული სისტემა და რეჟიმი, კავშირგაბმულობა, საავტო ფლოტი, გემთა ალმები, საერთოსახელმწიფოებრივი მნიშვნელობის ნავსადგურები და აეროპორტები; საჰაერო სივრცის, ტრანზიტისა და საჰაერო ტრანსპორტის კონტროლი, საჰაერო ტრანსპორტის რეგისტრაცია; მეტეოროლოგიური სამსახური;

10) ოკეანესა და ღია ზღვაში;

11) რესპუბლიკური მნიშვნელობის რკინიგზა და საავტომობილო გზები;

12) სტანდარტები და ეტალონები, გეოდეზია და კარტოგრაფია, ზუსტი დროის დადგენა, სახელმწიფო სტატისტიკა;

13) სახელმწიფოებრივი მნიშვნელობის მრეწველობა;

14) სასაზღვრო-სანიტარიული კორდონი; ჯანმრთელობის დაცვის საფუძვლები და კოორდინაცია;

15) კანონმდებლობა ფარმაცევტული პრეპარატების შესახებ;

16) კანონმდებლობის საფუძვლები განათლების სფეროში; აკადემიური, სამეცნიერო და პროფესიული წოდებები და ხარისხები;

17) გარემოს დაცვის კანონმდებლობის საფუძვლები;

18) კანონმდებლობის საფუძვლები მასობრივი ინფორმაციის საშუალებათა შესახებ;

19) კანონმდებლობის საფუძვლები საკუთრების შესახებ, კანონმდებლობა სამრეწველო და ინტელექტუალური საკუთრების შესახებ;

20) ადმინისტრაციული, შრომისა და მიწის სამართლის საფუძვლები;

21) საავაჭრო, სისხლის სამართლის, სამოქალაქო სამართლის, პენიტენციალური და საპროცესო კანონმდებლობა;

22) მართლმსაჯულების განხორციელება;

23) ამნისტია და შეწყალება;

24) კრიმინალური პოლიცია და გამოძიება.

რეგიონის წარმომადგენლობით ორგანოს თვითმმართველობის ფარგლებში უფლება ეძლება მიიღონ რესპუბლიკის კონსტიტუციისა და კანონების შესაბამისი ნორმატიული აქტები — დადგენილებები — შემდეგ საკითხებზე:

1) რეგიონულ უწყებათა და ადმინისტრაციულ დაწესებულებათა მოწყობა;

2) სოფლის, თემის, დაბის, ქალაქის საზღვრები;

3) რეგიონის ბიუჯეტი, გადასახადები და მოსაკრებლები;

4) საადგილმამულო ურთიერთობები და სატყეო მეურნეობა;

5) რეგიონული მნიშვნელობის მრეწველობა, ენერგეტიკა, ვაჭრობა, ადგილობრივი ბაზრობები და ბაზარი, ხალხური რეწვა;

6) რეგიონული მნიშვნელობის საავტომობილო გზები, წყალსადენი და სარწყავი სისტემა;

7) რეგიონში არსებული საგანმანათლებლო, კულტურის, სამეცნიერო-ტექნიკური, საქველმოქმედო და სხვა ამგვარი ხასიათის ფონდები, საზოგადოებები და გაერთიანებები;

8) ქალაქთმშენებლობა და საბინაო მშენებლობა;

9) რეგიონული მნიშვნელობის საბუნებო და საბიბლიოთეკო საქმე, კულტურულ-ისტორიული და ბუნების ძეგლთა დაცვა;

10) სკოლამდელი აღზრდისა და საშუალო-პროფესიული განათლების დაწესებულებათა მოწყობა;

11) ჯანმრთელობის დაცვა და სანიტარიული სამსახური, ტურიზმი და სპორტი, ბუნების დაცვა;

12) დაზღვევა და სოციალური უზრუნველყოფა;

13) რეგიონული მნიშვნელობის წიაღისეული, მათ შორის მინერალური და სამკურნალო წყლები;

14) ნაოსნობა და ნავმისადგომები ტბებზე;

15) რეგიონული ტელე-რადიომაუწყებლობის მოწყობა.

რეგიონული თვითმმართველობის ორგანოების საქმიანობაზე დაწესდება ცენტრალური ხელისუფლების კონტროლი; რესპუბლიკის კანონმდებლობასთან თვითმმართველობის აქტების შესაბამისობაზე, თვითმმართველობის მიერ მთავრობის პოლიტიკის არსებით გატარებაზე კონტროლის განხორციელებას რესპუბლიკის რწმუნებულ რეგიონში; მას მიენიჭება თვითმმართველობის ორგანოთა აქტების შეჩერებისა და მათი სასამართლოში გადაცემის უფლება.

დაშვებული იქნება ცენტრალური ხელისუფლების მიერ თვითმმართველობის ორგანოთა ვადამდე დათხოვნის უფლება სახელმწიფო უშიშროების მოტივით ან იმ შემთხვევაში, თუ წარმომადგენლობითი ორგანო:

ა) ფაქტობრივად არ მოქმედებს ან სისტემატურად ვერ უზრუნველყოფს გადაწყვეტილებათა მიღებას;

ბ) სისტემატურად და უხეშად არღვევს რესპუბლიკის კანონმდებლობას.

რეგიონის შექმნის წესი განისაზღვრება რესპუბლიკის კანონმდებლობით. შექმნის შესახებ გადაწყვეტილებას იღებს საქართველოს პარლამენტი.

რა თქმა უნდა, იმ რეფორმების განხორციელება, რომელზედაც წარმოდგენილ კონცეფციაშია საუბარი. ერთი ხელის დაკრით შეუძლებელია. ადმინისტრაციულ-ტერიტორიული რეფორმის განხორციელებას სჭირდება მომზადება, დრო, შესაფერისი პირობები; საჭიროა განისაზღვროს მისი განხორციელების ფორმები და ეტაპები.

რეფორმის განხორციელება დიდ დროს მოითხოვს და იგი, შესაძლოა, 10 წელიწადზე მეტი ხნის განმავლობაში მიმდინარეობდეს. დღევანდელი გადასახედიდან ძნელია კონკრეტული ვადების განსაზღვრა, მაგრამ შესაძლებელია რეფორმის განხორციელების ეტაპების გამოყოფა და თითოეულ ეტაპზე შესასრულებელი სამუშაოს დადგენა.

რეფორმის პირველი ეტაპი მოიცავს მოსაშზადებელ პერიოდს. უპირველესად, უნდა შეიქმნას ე.წ. პრობლემური უწყება — ადმინისტრაციულ-ტერიტორიული რეფორმის კომიტეტი, რომელმაც უნდა შეასრულოს როგორც თეორიული, ისე პრაქტიკული სამუშაო, რომლის შემდეგ პარლამენტს უნდა წარედგინოს სათემო დონეზე ტერიტორიული დაყოფის პროექტი, დასაბუთებული სოციალურ-ეკონომიკური, ფიზიკურ-გეოგრაფიული, დემოგრაფიული და სხვა პარამეტრებით. ამავე პროექტთან ერთად წარმოდგენილი უნდა იქნეს კანონპროექტი ადგილობრივი თვითმმართველობის შესახებ და თვითმმართველობის განხორციელებისათვის აუცილებელი სხვა ნორმატიული აქტები. კანონპროექტების მიღების შემდეგ კომიტეტმა პრაქტიკულად უნდა უზრუნველყოს ახლებური ტერიტორიული მოწყობა, რომლის დასრულების შემდეგ უნდა გაიმართოს ადგილობრივი თვითმმართველობის წარმომადგენლობითი ორგანოების არჩევნები.

პარალელურად უნდა მომზადდეს რეგიონების დაყოფის პროექტი. შესაძლებლად მიგვაჩნია შემდეგი ტერიტორიული ერთეულების არსებობა:

1. აფხაზეთი;
2. აჭარა;
3. თბილისი
4. სიღნაღის რეგიონი (სიღნაღი, გურჯაანი, ლაგოდეხი, საგარეჯო, დედოფლისწყარო, მისაღებად ვთვლით გურჯაანის რეგიონის (გურჯაანი, საგარეჯო) ცალკე არსებობასაც)
5. თელავის რეგიონი (თელავი, ახმეტა, ყვარელი)
6. რუსთავის რეგიონი (ბოლნისი, დმანისი, წალკა, თეთრიწყარ, მარნეული, გარდაბანი, რუსთავი)
7. გორის რეგიონი (გორი, ხაშური, ქარელი, კასპი, მცხეთა, ჯავა, ახალგორი)
8. ახალციხის რეგიონი (ახალციხე, ადიგენი, ასპინძა, ახალქალაქი, ნინოწმინდა, ბორჯომი)
9. დუშეთის რეგიონი (დუშეთი, ყაზბეგი, თიანეთი)
10. ქუთაისის რეგიონი (ქუთაისი, წყალტუბო, ტყიბული, ვანი, ბაღდათი, ხონი, სამტრედია. შესაძლებელია დამოუკიდებელ რეგიონად გამოიყოს სამტრედიის რეგიონი (სამტრედია, ვანი, ბაღდათი).
11. ზესტაფონის რეგიონი (ზესტაფონი, თერჯოლა, ხარაგაული, საჩხერე, ჭიათურა)
12. ოზურგეთის რეგიონი (ოზურგეთი, ლანჩხუთი, ჩოხატაური)
13. სენაკის რეგიონი (სენაკი, აბაშა, მარტვილი, ჩხოროწყუ)
14. ზუგდიდის რეგიონი (ზუგდიდი, ხობი, წალენჯიხა)
15. მესტიის რეგიონი (მესტია, ლენტეხი)
16. ამბროლაურის რეგიონი (ამბროლაური, ონი, ცაგერი)
17. ფოთის რეგიონი

თუკი დამოუკიდებელ რეგიონებად გამოვყოფთ გურჯაანსა და სამტრედიას, ადმინისტრაციულ-ტერიტორიული ერთეულების რაოდენობა მიაღწევს 19-ს, რაც საქართველოს ტერიტორიისა და მოსახლეობის ოდენობის გათვალისწინებით, ჩვენი აზრით, ოპტიმალურია. ამავე დროს, თითოეულ რეგიონს აქვს თვითმმართველობის უფლების რეალიზებისათვის საკმარისი ტერიტორიის ფართობი, მოსახლეობის რესურსი, ეკონომიკური პოტენციალი. ერთგვარი გამონაკლისია საქართველოს მთიანი რეგიონები, მაგრამ მათი ცალკე რეგიონებად არსებობა აუცილებელია შემდგომი განვითარებისა და გაძლიერებისათვის.

რაც შეეხება რეგიონებში ხელისუფლების ორგანიზაციას.

რეფორმის პირველ ეტაპზე აუცილებელია რეგიონების ცენტრალიზებული მმართველობა. ამ ეტაპზე რეგიონის წარმომადგენლობითი ორგანოს არსებობა არ მიგვაჩნია მიზანშეწონილად. რეგიონის ხელისუფლება უნდა შედგებოდეს ცენტრალიზებული წესით დანიშნული რეგიონის გამგებლისა და მისი ადმინისტრაციისაგან (შესაძლოა, მათთან არსებობდეს ადგილობრივი თვითმმართველობების წარმომადგენლობითი ორგანოების ხელმძღვანელებისაგან შემდგარი სათათბირო), რომელიც ეფექტიანად დაექვემდებარება ცენტრალურ ხელისუფლებას და უზრუნველყოფს მისი [illegible]იკის გატარებას რეგიონში. ხელისუფლების ამგვარი დეკონცენტრაცია (ფაქტობრივად [illegible] ცენტრალური ხელ[illegible] [illegible] რაფიული განუყენა და რეგიონებთან მიახლოება) ახლებური ტერიტორიული დაყოფისა და შესაბამისი სახელისუფლო სტრუქტურების შექმნის ფორმით საუკეთესო და ეფექტური საშუალებაა შეივსოს ცენტრალური ხელისუფლების ვაკუუმი რეგიონებში, განსაკუთრებით იმ რეგიონებში, რომლებიც გამოსულნი არიან საქართველოს ცენტრალური ხელისუფლების ფურისდიქციიდან და დე-ფაქტო სახელრად დამოუკიდებელ რაიონ-სამთავროებს წარმოადგენენ. რაიონების გამსხვილება, ხელისუფლების ახლებური ტერიტორიული ორგანიზაცია რაიონული ადმინისტრაციულ-ტერიტორიული დაყოფის თანდათანობითი მოშლის ფონზე ცენტრალურ ხელისუფლებას საშუალებას მისცემს ერთ „ჭუდქვეშ“ გააერთიანოს ნახევრადდამოუკიდებელი რაიონები და მტკიცედ დაიკვიდებაროს ისინი, უზრუნველყოს რეგიონებში საერთოსახელმწიფოებრივი პოლიტიკის გატარება.

გასათვალისწინებელია ერთი მნიშვნელოვანი საერთოსახელმწიფოებრივი მნიშვნელობის ფაქტორიც. განსაკუთრებული სტატუსის მქონე ქართული რეგიონის მოსახლეობის თვალში სხვა რეგიონების მიახლოება ისტორიული პროვინციების ფარგლებთან ელვერს დაუკარგავს ამ რეგიონისა და მისი მოსახლეობის „განსაკუთრებულობასა“ და გამოცალკევებულობას, რაც კეთილისმყოფელ გავლენას მოახდენს საერთოეროვნულ და საერთოსახელმწიფოებრივი ცნობიერების განმტკიცებაზე.

ამრიგად, ადგილობრივი თვითმმართველობის შექმნითა და რეგიონული ცენტრალიზებული მმართველობის ჩამოყალიბებით დასრულდება ადმინისტრაციულ-ტერიტორიული რეფორმის პირველი ეტაპი.

მეორე ეტაპის დაწყება, ანუ რეგიონულ თვითმმართველობაზე თანდათანობითი გადასვლა შეიძლება მხოლოდ რამდენიმე საერთოსახელმწიფოებრივი მნიშვნელობის პრობლემის გადაჭრის შემდეგ; კერძოდ, სახელმწიფოს უნიტარულობის — ერთიანობისა და განუყოფლობის — უზრუნველმყოფი მექანიზმების შექმნისა და განმტკიცების შემდეგ. მხედველობაში გვაქვს ერთიანი არმიის, ერთიანი საფინანსო სისტემის, ერთიანი შიდასახელმწიფოებრივი ბაზრის, ერთიანი საინფორმაციო სივრცის ჩამოყალიბება. სახელმწიფოს ერთიანობის უზრუნველმყოფი ამ ოთხი ძირითადი მექანიზმის მტკიცედ დამკვიდრების შემდეგ რესპუბლიკის კანონმდებლობის შესაბამისად უნდა დაიწყოს რეგიონებისათვის თვითმმართველობის უფლებების თანდათანობითი გადაცემა. ამ ეტაპზე სხვა ხელსაყრელი პირობების არსებობისას შესაძლებელია მოხდეს რამდენიმე რეგიონის შერწყმა. რეგიონული წარმომადგენლობითი ორგანოების საფეხუროვანი არჩევა შესაძლებლად მიგვაჩნია რეფორმის მხოლოდ ბოლო სტადიაზე.

ჩვენი ღრმა რწმენით, ზემოთაღწერილი ადმინისტრაციულ-ტერიტორიული რეფორმის შედეგად საქართველოში ჩამოყალიბდება სახელმწიფო წყობილების ოპტიმალური მოდელი. ამ პროცესის დასრულებას წლები დასჭირდება, მაგრამ მისი კონტურები დღესვე უნდა მოისაზოს და ყოველდღიურად, აწონილ-დაწონილი ნაბიჯებით უნდა ვიაროთ მისკენ.

ერთმორწმუნე რუსეთი

მეოტხე გვერდიდან

გამოდგა ქართველთათვის არსებული საერთაშორისო ვითარების ანალიზმა პეტრე დიდი დაარწმუნა იმაში, რომ იგი ვერც თურქეთს გააძევებდა შავი ზღვისპირეთიდან .და ვერც ირანს კასპიის ზღვისპირეთიდან. უფრო რეალური ჩანდა ბალტიისპირეთში დამკვიდრება. ომები თურქეთთან და ირანთან გაურკვეველი ვადით გადაიდო. ვახტანგ მეექვსის პრორუსულმა საგარეო პოლიტიკამ მარცხი განიცადა. ქართლის მეფე რუსეთს გადაიხვეწა, ხოლო მისმა მემკვიდრეებმა ტახტი ვეღარასოდეს დაიბრუნეს. რუსეთ-საქართველოს ურთიერთობას პერსპექტივაც არ უჩანდა: დიდებისა და კეთილდღეობის გზაზე შემდგარი რუსეთი ქართულ სამეფო-სამთავროებს სერიოზულ მოკავშირეებად არც კი განიხილავდა და ირანთან და თურქეთთან მოსალოდნელ ომებში მათზე იმედებს არც ამყარებდა. ქართველი პოლიტიკოსები კი მაჰმადიანური სამყაროს შემოტევისაგან თავის დახსნას მხოლოდ რუსეთის დახმარებით აპირებდნენ (დახმარება ევროპის ქვეყნების მხრიდან გამორიცხული იყო) და ამიტომაც მუდმივი მთხოვნელების როლში რჩებოდნენ. რუსეთის დიპლომატიამ თურქეთთან და ირანთან ბრძოლის კარგად გააზრებული ტაქტიკა შეიმუშავა. რუსეთის იმპერია ნელა და ზოზინით მოიწევდა კავკასიისაკენ, ირანი და თურქეთი კი სწრაფი ტემპებით აბორციელებდნენ პრორუსული ორიენტაციის ქართული სამეფო-სამთავროების ძირფესვიანად ამოგდების გეგმებს. ქართველ პოლიტიკოსებს მანევრირების საშუალება არ ჰქონდათ. ერთადერთი შესაძლებელი მოკავშირე ისევ რუსეთი იყო. აქ რთულ პოლიტიკურ თამაშს ადგილი არ ჰქონია, ყველაფერი ძალზე მარტივი იყო: ირანთან და თურქეთთან სამკვდრო-სასიცოცხლო ბრძოლაში ჩაბმული საქართველო მხსნელად რუსეთს სახავდა; ირანთან და თურქეთთან რუსეთის შეჯახება გარდაუვალი იყო, მაგრამ ამ შეჯახებას საქართველოს ხსნის მიზნით რუსი პოლიტიკოსები არ დაანჭარებდნენ, რუსეთის დიპლომატია მხოლოდ რუსეთის ინტერესებიდან გამომდინარეობდა: ირანი და თურქეთი მთელი ძალებით ცდილობდნენ ქართული სამეფო-სამთავროების წელში გატეხვას და საბოლოოდ ამოგდებას, რათა რუსეთთან მოსალოდნელ შეჯახებაში საქართველო რუსეთის ფორპოსტად არ გადაქცეულიყო.

რა უნიჭონიც არ უნდა ყოფილიყვნენ პეტრე დიდის შემდგომი იმპერატორები, სახელმწიფო სისტემა მაინც უნაკლოდ მუშაობდა. თუმცა პეტრე პირველის შემკვიდრეებს და მათ კარისკაცებს არც ნიჭი აკლდათ და არც ენერგია, რაც მთავარია, სწორად ესმოდათ რუსეთის სახელმწიფოს ინტერესები. ეს განსაკუთრებით ითქმის ეკატერინე მეორეზე (1762-1796), რომლის დროსაც რუსეთ-საქართველოს ურთიერთობა ახალ სტადიაში შევიდა. 1768 წელს რუსეთ-თურქეთის კონფრონტაცია ომში გადაიზარდა, რომელიც 1774 წლამდე გრძელდებოდა. ომმა ქართული სამეფო-სამთავროების მდგომარეობა ვერ გააუმჯობესა. მართალია, თურქეთი ომში დამარცხდა, მაგრამ რუსეთს კავკასიის ქედის სამხრეთით არავითარი უპირატესობა არ მიუღია — თურქეთმა შეძლო პოზიციების შენარჩუნება. იმერეთის სამეფო კვლავ თურქეთის ვასალად, ხოლო ქართლ-კახეთის სამეფო ირანის ვასალად რჩებოდა. რუსეთი ქართული სამეფო-სამთავროების დაცვას ვერ ახერხებდა — თურქეთთან და ირანთან ურთიერთობის დაძაბვას ერიდებოდა. მას შემდეგ, რაც 1768-1774 წლების რუსეთ-თურქეთის ომში ერეკლე მეორე და სოლომონ პირველი რუსეთის სამხედრო მოკავშირედ გამოვიდნენ, თურქეთთან და ირანთან ურთიერთობის მოგვარებაზე ლაპარაკიც აღარ შეიძლებოდა. სწორედ ამიტომ ქართველი პოლიტიკოსები მარცხიანი პრორუსული საგარეო პოლიტიკის ერთგულნი რჩებიან და ახალ დათმობაზე მიდიან — 1783 წლის გეორგიევსკის ტრაქტატი ქართლ-კახეთის სამეფო რუსეთის მფარველობაში შევიდა. ერეკლე მეორე მიხვდა, რომ რუსეთის შემოჭრას ამიერკავკასიაში ირანი და თურქეთი ვეღარ შეაჩერებდნენ. გამორიცხული არ იყო,რომ ირანსა და თურქეთზე გამარჯვებულ რუსეთს საქართველო განეხილა არა როგორც მისი ერთგული მოკავშირე, არამედ როგორც ომში მოგებული ტერიტორია, თურქეთისა და ირანისათვის წართმეული მიწები. ამ შემთხვევაში ქართული სამეფო-სამთავროების სახელმწიფოებრიობა აუცილებლად მოისპობოდა. გეორგიევსკის ტრაქტატით რუსეთისა და ქართლ-კახეთის ურთიერთობა გარკვეული, იმხანად მიღებული სამართლებრივი ნორმებით განისაზღვრა. ქართლ-კახეთი რუსეთის მფარველობაში შესულ სახელმწიფოდ რჩებოდა, რაც ამიერკავკასიიდან ირანისა და თურქეთის განდევნის შემთხვევაში რუსეთს ავალდებულებდა ქართლ-კახეთი განეხილა როგორც არა მტრისათვის წართმეული, ომებით მოპოვებული ტერიტორია, არამედ როგორც მის მფარველობაში შესული სახელმწიფო თავისი სამეფო დინასტიით, საკანონმდებლო სისტემით, ჯარით, საზღვრებით და ა.შ. გამორიცხულია, რომ ერეკლე მეორეს არ სცოდნოდა სამი რამ: პირველი, გეორგიევსკის ტრაქტატი ლახავდა ქართლ-კახეთის სუვერენიტეტს და მის შთამომავლობას ბევრ თავსატეხს უჩენდა; მეორე, გეორგიევსკის ტრაქტატი ფაქტის წინაშე აყენებდა სხვა ქართულ სამეფო-სამთავროებს; მესამე, რუსეთს არაფრად უღირდა გეორგიევსკის ტრაქტატის პირობების დარღვევა, რაც იმას ნიშნავდა, რომ ირან-თურქეთის აგრესიას გადარჩენილი საქართველო რუსეთის აგრესიის მსხვერპლი გახდებოდა. ერეკლე მეორისა და ქართველი პოლიტიკოსების პოზიცია ამ შემთხვევაში უბრალო ადამიანური პოზიციიდან შეიძლება აიხსნას. ერეკლე მეორემ კარგად იცოდა რა დიდი უბედურების მომტანი იქნებოდა საქართველოსთვის ირან—თურქეთის ბატონობა. საქართველოს ისტორიიდან უამრავი მრავლისმეტყველი მაგალითის გახსენება ერეკლეს არ უნდა გასჭირვებოდა, თავის ზურგზეც ხომ ბევრი გამოსცადა ქართლ-კახეთის მეფემ. სამაგიეროდ, ერეკლე მეორე მიახლოებითაც ვერ წარმოიდგენდა რა მძიმე და აუტანელი იქნებოდა საქართველოსათვის რუსეთის უღელი, რა განსაცდელი ელოდა ქართველ ხალხს. ქართლ-კახეთის მეფეს დიდი არჩევანის საშუალება არა ჰქონია. საკითხი იდგა ასე: ან ირანი და თურქეთი, ან რუსეთი. ერეკლემ რუსეთი არჩია.

მარცხიან პრორუსულ საგარეო პოლიტიკას არც გეორგიევსკის ტრაქტატის შემდეგ მოუტანია რაიმე შედეგი. რუსეთს ტრაქტატის პირობები ფაქტიურად არასდროს დაუცავს, ხოლო 1787-1791 წლების რუსეთ-თურქეთის ომში საქართველოს ბედის ანაბარად მიტოვებით გეორგიევსკის ტრაქტატი ფორმალურადაც და ფაქტიურად უხეშად დაირღვა. იგივე განმეორდა 1795 წელს [illegible] შემოსევის დროს. უკვე აშკარა გახდა შემდეგი: რუსეთი საქართველოს ირანსა და თურქეთს აღარ დაუთმობდა, ხოლო საქართველოში შემოსვლის შემთხვევაში ქართლ-კახეთის სამეფოს განიხილავდა არა როგორც მის მოკავშირეს ან მის მფარველობაში მყოფ ქვეყანას, არამედ როგორც ბრძოლით მოპოვებულ ტერიტორიას, რუსთა სისხლით შემოერთებულ მიწას. ამ მწარე ფაქრებით შემოჯარული აღესრულა ერეკლე მეორე 1798 წელს.

1798-1801 წლებში რუსეთის დაზვერვამ და დიპლომატიამ მაქსიმალურად უმტკივნეულოდ მოამზადეს ქართლ-კახეთის სამეფოს გაუქმება. რაც არ დასცალდა რუსეთის იმპერატორს პავლე პირველს, 1801 წლის 12 სექტემბერს აღასრულა ალექსანდრე პირველმა. **პრორუსულმა საგარეოპოლიტიკურმა კურსმა აბსოლუტური მარცხი განიცადა. რუსეთის დიპლომატია დიდ გამარჯვებას ზეიმობდა...**

ვერც რჯულის ერთობამ, ვერც საყოველთაოდ ცნობილმა ერთგულმა მოკავშირეობამ, ვერც გეორგიევსკის ტრაქტატის პირობებმა ქართლ-კახეთის სამეფო ვერ იხსნეს. არც ერთი, არც მეორე და არც მესამე რუსეთის იმპერატორსა და მის კარისკაცებს აღარ გახსენებიათ. რუსი მოხელეები (სამხედროები და დიპლომატები), რუსეთის ჯარი ისე მოქმედებდა, როგორც მოქმედებენ მტრისთვის წართმეულ ტერიტორიაზე. თბილისიც და მთელი ქართლ-კახეთიც მართლაც, მტრის ხელში გადასულ ქვეყანას ჰგავდა...

განგების ნებით მაჰმადიანური სამყაროს აგრესიას გადარჩენილი საქართველო ერთმორწმუნე რუსეთმა დაიპყრო.

კროსვორდი



ჰორიზონტალურად: 3. სატირული ხასიათის მიბაძვა. 5. მრწამსი. 6. ადამიანი, რომელიც ბაძავს მაღალი საზოგადოების წარმომადგენლებს. 8. მწვანე მცენარეულის ჩახვნა ნიადაგის გასანოყიერებლად. 13. ძვირფასი მერქნის მჭონე ტროპიკული ხე. 14. ბიზეს ოპერა. 16. 19-ე ს. გამოჩენილი რუსი ფიზიკოსი, აკადემიკოსი. 18. ომონიმებზე აგებული რითმა. 19. განმარტება, ძირითადი ტექსტის ქვეშ მოთავსებული ტექსტი. 20. შენობის მთავარი ფასადი. 21. იაპონური ეროვნული ტანსაცმელი. 23. კუჭნაწლავის დაავადება. 24. პროფესიონალი მონადირე, რომელიც მომსახურეობას უწევს მოყვარულ მონადირეებს და თვალყურს ადევნებს ნადირობის წესების დაცვას. 26. 19-ე ს. ამერიკელი მწერალი. 27. ოქრომკედი. 28. წვრილი სასტამბო შრიფტი. დასარტყმელი მუსიკალური ინსტრუმენტი. 34. მონღოლი ფეოდალი, 35. ხრიკები რაიმე მიზნის მისაღწევად.

ვერტიკალურად: 1. ლობეებს შორის მოქცეული სოფლის გზა. 2. ჰომეროსის ნაწარმოები. 3. წნეხი 4. ა. დიუმას „სამი მუშკეტერის“ პერსონაჟი. 7. ამერიკაში გავრცელებული თუთიყუში. 9. რომანული ენებისა და კულტურის შემსწავლელი მეცნიერება. 10. მუსიკალური ტერმინი — ნელა. 11. თეატრალური აქსესუარი. 12. დიდი, ცნობილი მწერალი. 13. ქართველი პოეტი, საზოგადო მოღვაწე, აკადემიკოსი. 14. ბერძნული ანტიკური თეატრის აქსესუარი. 15. აფიქსი. 17. დაავადება, გონებანაკლებობის უმაღლესი საფეხური. 22. ბერძნული ანბანის ბოლო ასო. 24. თანამედროვე ფინელი მწერალი. 20 9. უმაღლესი ღვთაება ძვ. სკანდინავიელების მითოლოგიაში. 30. ცნობილი რომაელი კომედიოგრაფი. 31. პირი, რომელიც ცხოვრობს დაბანდებულ კაპიტალის პროცენტებზე.

წინა ნომერში გამოქვეყნებული კროსვორდის პასუხები

ჰორიზონტალურად: 1. ინკოგნიტო 3. ჭავჭავაძე 5. გრაგნილი 7. სკანდალი 9. ტანკერი 10. გერუსია 11. აბი 12. აუდიტორია 14. ასტრონომი 16. არსენალი 17. იანიჩარი 19. ავტობიოგრაფია 20. ანეკდოტი 22. თრიალეთი 24. მეხამრიდი 26. კრიტიკოსი 28. გეა 29. ლიბრეტო 30. ურუგვაი 31. იზოლაცია 32. ანოტაცია 33. აპელირება 34. ადაპტაცია

ვერტიკალურად: 17 ინჰალაცია 2. ორანჟერეა 3. ჭიანჭველა 4. ედელვაისი 5. გარანტია 6. იორდანსი 7. სტადიონი 8. იერიქონი 13. რუსთაველი 15. ტრაფარეტი 18. შოუ 20. აკმეიზმი 21. იფიგენია 22. თემატიკა 23. ირიგაცია 24. მელოდრამა 25. ინტონაცია 26. კორექტურა 27. იდეოგრამა

მთავარი რედაქტორი
ნოდარ გრიგალაშვილი
სარედაქციო კოლეგია:
დავით ბერძენიშვილი, რომან გოცირიძე, თამაზ დიასამიძე, გელა ეგანოვიძე (პასუხისმგებელი მდივანი), მიხეილ მახარაძე (მთავარი რედაქტორის მოადგილე), ნოდარ ნათაძე, შოთა ნადირაშვილი, თედო პაატაშვილი, ივლიანე ხაინდრავა.

რედაქციის მისამართი: თბილისი, თავისუფლების მოედანი, პუშკინის ქ. 5

შემოსული მასალები ავტორებს არ უბრუნდებათ.

გაზეთის ინდექსი 66447

ფასი 1000 რუბლი. შ.კ. კუპონებში

ტელეფონები:
რედაქტორი: 93-20-36,
რედაქტორის მოადგილე: 93-18-41
პასუხისმგებელი მდივანი: 93-19-99